



საგარეო
საზღვაო
საზღვაო

საგარეო
საზღვაო
საზღვაო

444-344
F/28



უცხოელი თვალით



უცხოელი სტუმრები
საბჭოთა საქართველოს შესახებ

344



„თანამეგობრული საზოგადოები დაბრუნებისა
და მათთან კულტურული კავშირის
განვითარების“ კომიტეტის საქართველოს
ფილიალის გამოცემა

თბილისი

1961



სიმაართლის ხმა ქვეყნად ჰქმნის

(წინასიტყვაობის მაგიერ)

მას შემდეგ, რაც კაპიტალიზმმა თავისი მესაფლავე—პროლეტარიატი წარმოშვა, ექსპლოატატორებს ურუანტელს ჰგვრით სოციალიზმის განხენება. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ მათ თავზარი დასცა. გზააბნეული ბურჟუაზიული პროპაგანდა ყველა საშუალებით ცდილობს ცილი დასწამოს და ავტორიტეტი შეუღახოს საბჭოთა სახელმწიფოს. ამ მიზნით იგი არ ერიდება სიყალბეს, უსუსურ წინასწარმეტყველებას.

ამერიკის შეერთებული შტატების ბურჟუაზიულმა გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ 1917-1920 წლებში ოთხმოცდათერთმეტჯერ გამოაქვეყნა ცნობა, რომ საბჭოთა წყობილება თითქოს დაეცა ან უკანასკნელ დღეებს ითვისებს.

როცა საბჭოთა ხალხი სოციალიზმის გეგმიან მშენებლობას შეუდგა, კაპიტალისტები დასცინოდნენ საბჭოთა ხუთწლიელს, „ფანტაზიად“, „უტოპიად“, „კომუნისტურ პროპაგანდად“ მიაჩნდათ იგი. ამასვე იმეორებდა მათი რუპორი — ბურჟუაზიული პრესა. 1932 წელს ინგლისის რეაქციული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ წერდა: „თუ განვიხილავთ გეგმას, როგორც „გეგმიანი ეკონომიკის“ საცდელ ქვას, უნდა ვთქვათ, რომ მან სრული კრაზი განიცადა“. იტალიის ბურჟუაზიული ჟურნალი „პოლიტიკა“ ამტკიცებდა, რუსეთის კატასტროფა გარდუვალიაო. მაგრამ ისტორიამ დასცინა ვაი-წინასწარმეტყველებს. მოვლენათა განვითარებამ ცხადყო სა-

ბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების დიდი უპირატესობა კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით. საბჭოთა სახელმწიფო ენერგიულად ზრუნავს იმისათვის, რომ მშრომელებს შეუქმნას მატერიალური და სულიერი დოვლათის სიუხვე. თავისუფალი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომა სასწაულებს ახდენს.

საბჭოთა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობილებაზე ყალბი წარმოდგენა ილუზიას უქმნიდა ფაშისტ დამპყრობლებს, რომ შეძლებდნენ ელვისებური დარტყმით გაენადგურებინათ საბჭოთა სახელმწიფო, როგორც „თიხისფეხებიანი ბუმბერაზი“. მაგრამ ჩვენმა ხალხმა ყველა განსაცდელს გაუძლო, ჩვენი ქვეყანა ომიდან კიდევ უფრო ძლიერი გამოვიდა. მოკლე დროში განვითარების უმაგალითო დონეს მიაღწია საბჭოთა მეცნიერებამ, ტექნიკამ, ხელოვნებამ. რაც შეეხება ფაშიზმს, მისგან მხოლოდ უსიამოვნო მოგონებადარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სახელმწიფომ, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა და დღითიდღე იზრდება მსოფლიოში იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც გულწრფელად უყვართ მშვიდობისმოყვარე, შემოქმედი საბჭოთა ხალხი, ბურჟუაზიული პრობაგანდა თავგამოდებით ცდილობს ცილისწამებითა და ყალბი ინფორმაციით გააღვივოს სიძულვილის გრძნობა, საბჭოთა სახელმწიფოსა და საბჭოთა ადამიანების შესახებ ყოველად მახინჯი წარმოდგენა შეუქმნას მასებს. მაგრამ მათ ეს სულ უფრო უძნელდებათ. სიმართლის ხმა ყველგან აღწევს. ხალხებს სურთ მეგობრობა და მშვიდობა.

ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი იმარჯვებს. ატომის ეპოქაში, როცა ტექნიკის განვითარებამ ესოდენ მაღალ დონეს მიაღწია, როცა უდიდეს ძალად იქცა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, ომი ფატალუ-



რად გარდუვალ მოვლენად აღარ შეიძლება მივიჩნიოთ. ატომური ომი კაცობრიობის თვითმკვლელობა იქნებოდა.

ამიტომ იბრძვის საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ხალხი, პროგრესული კაცობრიობა ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის, მშვიდობისათვის. ამიტომ ენიჭება ასე დიდი მნიშვნელობა დილეგაციების გაცვლას, ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობის გაფართოებას.

საბჭოთა კავშირში თითქმის ყოველდღე მოდიან სტუმრები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, მოდიან მუშები, პროფკავშირული მოღვაწეები, გლეხთა დილეგაციები, მეცნიერების, ხელოვნების, განათლების მუშაკები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები. ისინი ეცნობიან ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარეს. მათ სრული შესაძლებლობა ეძლევათ ისაუბრონ საბჭოთა აღამიანებთან, ეწვიონ მათ სახლში, ინახულონ ფაბრიკები და ქარხნები, შახტები და მაღაროები, მუზეუმები, საავადმყოფოები, სკოლები, თეატრები, კულტურის სახლები, სამეცნიერო და სხვა დაწესებულებები.

უცხოელი სტუმრებისათვის ნათელი ხდება შრომისმოყვარე, შემოქმედი საბჭოთა ხალხის კეთილი სურვილები და მაღალი მისწრაფებანი, ფარდა ეხდება ბურჟუაზიული პროპაგანდისა და ბნელეთის მოციქულთა ყალბ მონაქორს საბჭოთა ქვეყნის, საბჭოთა ხალხის ცხოვრებაზე.

ჩვენო თანამემამულენო! განახლებულ, საბჭოთა საქართველოს არსებობის ორმოცი წელი შეუსრულდა. ამ ხნის განმავლობაში სახე იცვალა ჩვენმა ქვეყანამ. აყვავდა და აღორძინდა სოფლები და ქალაქები, წარმოიქმნა მძიმე ინდუსტრიის ცენტრები. ახლა ვერ იცნობთ რუსთავს, ქუთაისს, გორს და ზესტაფონს. სადღაა დაქუცმაცებული, ხისკავიანი სოფლები. საკოლმეურნეო მინდვრებში ტრაქტორები გუგუნებენ. ხელის შრომას კომბაინები ცვლიან. საქართველო ახლა უხვ-მოსავლიანი ჩაის პლანტაციების, ციტრუსების, ვენახებისა და ბაღების, მოწინავე ტექნიკისა და მძლავრი ინდუსტრიის

რესპუბლიკაა, რომელსაც აქვს ხალხის კეთილდღეობის სამსახურში ჩაყენებული თავისი ატომის რეაქტორი.

ბევრი რამ შეიცვალა ორმოცი წლის მანძილზე. ორმოცი წელი ორმოცი დღე როდია, და მაინც არ იქნა, არ ეშველა ზოგი ვინმეს მორჯულებას. ისინი ბევრნი როდი არიან, მაგრამ მაინც არიან „ურწმუნო თომები“, რომლებსაც თავი კაპიტალისტთა კალთაში ღრმად ჩაურგავთ და მზის შუქს ემალებიან, არა სურთ ირწმუნონ მშობლიური ქვეყნის აღორძინება, მშობელი ხალხის წარმატება და ბედნიერება.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ უცხოეთში მრავლად არიან თანამემამულენი, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით, უმთავრესად კი ოჯახური მდგომარეობის გამო, მჭიდროდ არიან დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც ახლა ცხოვრობენ. მერე რა არის ცუდი ამაში? იცხოვრონ, იბედნიერონ! ჩვენ მათი კარგი გაგვიხარდება, რადგან ვიცით, რომ მათაც ახარებთ სამშობლო ქვეყნის და მშობელი ხალხის წარმატებები. გულში ბოროტი ზრახვა არა აქვთ. მივესალმებით ასეთ პატრიოტებს, რომლებიც ორივე ქვეყნის კეთილდღეობისათვის იღვწიან. მათთან მეგობრობა და კულტურული ურთიერთობა საპატიო და კეთილშობილურ საქმედ მიგვაჩნია.

ჩვენი მიზანია სიმართლის ხმა ქვეყნად ჰქუხდეს, განზრახ შეთითხნილი, მოგონილი ამბებით, ქორებითა და ცილისწამებით არ იწამლებოდეს ატმოსფერო. თანამემამულეებმა, რომლებიც სამშობლოდან შორს, უცხოეთში იმყოფებიან, იცოდნენ სიმართლე მშობლიური ქვეყნის, მშობელი ხალხის ცხოვრების შესახებ. გვინდა აღამიანები მტრობისა და სიძულვილის ნაცვლად სიყვარულს თესავდნენ, ერთმანეთის მიმართ კეთილშობილურად იყვნენ განწყობილნი და იმაზე ფიქრობდნენ, როგორ განამტკიცონ მშვიდობა და მეგობრობა, როგორ უზრუნველყონ უკეთესი ხვალისდელი დღე ყველა ხალხისათვის.

ვფიქრობთ, ეს პატარა წიგნი სამსახურს გაუწევს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს, ჩვენი ქვეყნის მოკეთებებს, თვალს აუხელს იმათ, ვინც ორჭოფობს და გაურკვეველ პოზიციაზე დგას, იმათაც, ვინც საბჭოთა საქართველოსადმი მტრულად არის განწყობილი.

საბჭოთა ქვეყნის შესახებ უცხოელ სტუმართა ჩანაწერებში, მათს განცხადებებსა და შთაბეჭდილებებში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს მიკერძებას. ცხადია, მათი სიტყვა უცხოელებისათვის, უცხოეთში მცხოვრებთათვის უფრო სარწმუნოა.

მეტი დამაჯერებლობისა და მიმზიდველობისათვის წიგნში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ილუსტრაციას.

მოხარული ვიქნებით, თუ მივიღებთ მკითხველთა გამოხმაურებას, შენიშვნებს, წინადადებებსა და სურვილებს ამ წიგნთან დაკავშირებით.



გულწრფედი მაღლობის გრძნობით

გულწრფელი მაღლობის გრძნობით ეტოვებთ სტუმართ-
მოყვარე საქართველოს. ჩვენი აქ ყოფნის განმავლობაში დაგ-
რწმუნდით ქართველი ხალხის პროგრესში ცხოვრების ყვე-
ლა დარგში.

ურთიერთგაცნობა და ვიზიტები ხელს შეუწყობს ჩვენი
ხალხების კიდევ უფრო დაახლოებას.

თქვენი გამარჯვებები თავისუფლებისათვის მებრძოლ აფ-
რიკის ხალხებს მუდამ გამხნეებს და ალაფროვანებს დი-
დი შემოქმედებითი შრომისათვის.

შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ განვაგრძობთ ბრძოლას იშ-
პერიალისტების ბატონობისაგან აფრიკის ხალხების განთა-
ვისუფლებისათვის.

ის, რაც ჩვენ ვნახეთ საქართველოში, გვინების ხალხისათვის
დიდად საინტერესოა, ჩავალთ და ხალხისით ვუამბობთ მას
თქვენს მიღწევებზე.

სეკუ ტურე

გვინების რესპუბლიკის პრეზიდენტი.





სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ც. კ-ის პირველი მდივანი ვასილ მყავანაძე და გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტი სეკუ ტურე თბილისის აეროდრომზე.

დიდი კულტურის ქვეყანა

მე ლოდ კოლინსი, ამერიკის შეერთებული შტატების გუბერნატორი, ამჟამად ცხრა ამერიკელ გუბერნატორთან ერთად სტუმრად ვინყოფები საქართველოში.

ჩვენ იმ მიზნით ჩამოვედით, რომ გავცნობოდით თქვენი სახელმწიფოებრივი მმართველობის პრაქტიკას, გაგვეგო, თუ როგორ მუშაობთ, და ამავე დროს გვეამბნა თქვენთვის, თუ როგორ ვმუშაობთ ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. მე ვიმაჩნია, რომ გამოცდილების ასეთი ურთიერთგაზიარების შედეგად ჩვენს ორივე ქვეყანას შეუძლია ბევრი რამ საინტერესო შეიძინოს.

ჩვენ ვიყავით მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში და ახლა თბილისში ვიმყოფებით.

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს რესპუბლიკამ და მისმა დედაქალაქმა თბილისმა.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკა ეყრდნობა კარგად დაბალანსებულ სახალხო მეურნეობას, უფრო ზუსტად — კარგად განვითარებულ სოფლის მეურნეობას და სწრაფი აღმავლობის გზაზე დამდგარ მრეწველობას. გარდა ამისა, საქართველოშია ის, რასაც ჩვენ „სამრეწველო ტურიზმს“ ვუწოდებთ. საქართველოში სამოგზაუროდ და გასართობად ჩამოდიან საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. აქ მრავალ უცხოელს შეხვდებით.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ქართველი ხალხი სათუთად ინახავს და უფრთხილდება თავისი წარსულის ისტორიულ ძეგლებს. მე მგონია, რომ საქართველოს კულტურა შეუჩერებლად განვითარდება. მომავალში უფრო და უფრო მეტი ხალხი ჩამოვა საქართველოს დიდი კულტურის და მისი

დღევანდელი მიღწევების გასაცნობად. ჩვენზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველების სტუმართმოყვარეობამ. სადაც არ ვიყავით, ყველგან გულთბილად და სიყვარულით გვიღებდნენ, როგორც ძვირფას სტუმრებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და მინისტრთა საბჭოს წევრები, რომლებთანაც ჩვენ მოგვიხდა შეხვედრა, ღრმა პატივისცემითა და ყურადღებით გვხვდებოდნენ და გვაწვდიდნენ ყველა აუცილებელ ცნობებს. ჩვენ გვქონდა ძალიან საინტერესო შეხვედრები, რომლებმაც ნამდვილი გულახდილობის ატმოსფეროში ჩაიარა.

ვტოვებთ რა თბილისს, გამოვთქვამთ ჩვენს საერთო სურვილს, რომ საქართველოს რესპუბლიკის გამოჩენილმა მოღვაწეებმა საპასუხო ვიზიტით გვინახულონ ჩვენც ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასეთი ურთიერთ ვიზიტები ხელს შეუწყობს ჩვენი ორი დიდი სახელმწიფოს დაახლოებას. ჩვენი ურთიერთგაცნობა კიდევ უფრო დაახლოებს ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს. ბოლოს მინდა გადავცე მხურვალე სალაპი ქართველ ხალხს, რომელსაც ჩვენ კარგად ვიცნობთ ამერიკაში. დიდი კმაყოფილების გრძნობით ვტოვებთქვენს მშვენიერ ქვეყანას, რომელმაც თავისი წარსულით და დღევანდელი დღით წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარდება ნამდვილი მეგობრობა, თუნდაც ამისათვის საჭირო იქნეს ურთიერთ დათმობა გარკვეულ საკითხებში. ამაზე ჩვენ უნდა წავიდეთ კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის.

ლოიდ კოლინსი,

ამერიკელი გუბერნატორი.





მცხეთა. სვეტიცხოველი. ამერიკელი გუბერნატორი ლოიჯ
კოლინსი ესაუბრება ეკლესიის მსახურს პართენს,

* *
* *

1960 წლის ზაფხულის ერთ მცხუნვარე დღეს დიღმის ველზე გაშლილ ბალ-ვენახებში, პარკებსა და ხეივანებში, მე-ვენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების საცდელ ნაკვეთებში და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის საცდელ მეურნეობაში უჩვეულო სტუმრები გვეწვივნენ. მუშებმა, სპეციალისტებმა, სტუდენტებმა და მეცნიერმა მუშაკებმა გულმხურვალე შეხვედრა მოუწყეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეთა ჯგუფს.

ძვირფასო თანამემამულენო! ბევრ თქვენგანს კარგად ემახსოვრება დიღმის უკაცრიელი და ტიალი ველი. აბა, ვინ მოიფიქრებდა, რომ რალაც 10-15 წლის მანძილზე აქ შეიქმნებოდა ის, რამაც განცვიფრებაში მოიყვანა ჩვენი სტუმრები. ყურძნის მოსავლიანობა ჰექტარზე აქ 80-100-120 ცენტნერს აღემატება. ბაღებში ათასგვარი ხეხილი ხარობს, საწერგეები ხეხილისა და დეკორაციულ მცენარეთა მილიონობით ნერგებს აწვდიან მომხმარებელს, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში ათასობით ახალგაზრდა ეუფლება მეცნიერების მწვერვალებს, მილიონობით შემოსავალს იძლევიან დიღმის ველზე გაშლილი საბჭოთა მეურნეობები.

ეს გახლდათ ამერიკელ სტუმართა საქართველოში მოგზაურობის ბოლო დღე. მეორე დღეს დილით ისინი სამშობლოში ბრუნდებოდნენ.

დიღმიდან გამგზავრების წინ დღეგაცეის ერთ-ერთმა წევრმა, ნიუ-ჯერსის შტატის გუბერნატორმა, ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ მმინერმა განაცხადა:

— დღევანდელი დღე საქართველოში ჩვენი მოგზაურობის შესანიშნავი დაგვირგვინება იყო. ჩვენ ვნახეთ ენერგიულ აღამიანთა დიდი ნამოღვაწარი. ჩვენი ხალხების მეგობრობა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს ჩვენი ქვეყნების ეკონომიკას.



ამას არ მოველოდით...

საბჭოთა კავშირში სტუმრად იყო ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტების რექტორთა ერთი ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა პიტსბურგის უნივერსიტეტის პრეზიდენტი პროფესორი ედვარდ ლაჩვილდი. ამერიკელი სტუმრები საქართველოშიც იყვნენ.

ისინი თბილისში ეწვივნენ სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, გორში ინახულეს სტალინის სახლი-მუზეუმი. გორის რაიონის სოფელ ტყვიავის ლაღო კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში ამერიკელი სწავლულები გაეცნენ ქართველ კოლმეურნეთა ცხოვრებას. აი რას მოგვითხრობენ ისინი:

— მე კმაყოფილი ვარ, ქართველ ხალხთან დაახლოების შემთხვევა რომ მომეცა. უპირველეს ყოვლისა ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველი ხალხის მეგობრულმა განწყობილებამ, რასაც ჩვენ ვგრძნობდით უნივერსიტეტშიც, ქალაქშიც და კოლმეურნეობაშიც. ასეთი განწყობილება, ჩვენთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამას არ ველოდით. სხვადასხვა ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებისათვის ასეთ მეგობრულ განწყობილებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მეორე შთაბეჭდილება, რაც ჩვენ მივიღეთ, ეს გახლდათ თვით ქართველი ხალხის დიდბუნებოვნება. აქ ყოველ უცხოელს იპყრობს დიდი და უძველესი კულტურის პატივისცემის გრძნობა, საკმარისია მცირე დროც, რომ ასე დიდებულად დაცული ქართული კულტურა შეიყვაროთ. თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ თქვენი კულტურით.

ამასთან მინდა ცოტა რამ ვთქვა უნივერსიტეტის შე-



სახებ, რომელმაც ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რამდენიმე მიზეზის გამო. ჩვენ დავინახეთ პროფესორ-მასწავლებელთა მაღალი მეცნიერული დონე, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ ხარისხს. ძლიერ მნიშვნელოვანია ისიც, რომ, როგორც გავიგეთ უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი ჰქონია სხვა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან არამარტო თბილისში, არამედ საერთოდ საქართველოშიც. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე აკადემიისა და უნივერსიტეტის კავშირმა. გულახდილად უნდა ვთქვა — ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გარემოებამაც, რომ აკადემიის წევრები სხვა დაწესებულებების მუშაკებთან ერთად თანამშრომლობენ სხვადასხვა დარგში. ჩემი კოლეგებიც დამეთანხმებიან, რომ ინტერესთა ასეთი ერთიანობა, რაც ჩვენ აქ ვნახეთ, აღემატება იმას, რაც სხვაგან გვინახავს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ინტელექტუალური ცხოვრებისა და უმაღლესი განათლების სწრაფი პროგრესისათვის საჭიროა სპეციალისტთა ასეთი თანამშრომლობა, კვლევითი მუშაობისა და სწავლების ასეთი დაკავშირება. სწავლება მაშინ არის ნაყოფიერი, როცა დაკავშირებულია კვლევით მუშაობასთან. აქ, საქართველოში, ჩვენ პირველად ვნახეთ ასეთი უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა.

ასეთია ჩემი შთაბეჭდილებები. კმაყოფილი ვართ აქ ჩამოსვლათ და ქართველი ხალხის გაცნობით. ჩვენ დაინტერესებული ვართ მსოფლიოს მშვიდობით. მშვიდობა შეიძლება განმტკიცდეს, თუ მივალწევთ ურთიერთგაგებას. ეს კი შეიძლება მხოლოდ ურთიერთნახვისა და გაცნობის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის, მეცნიერების მიღწევათა ურთიერთგაზიარების გზით. ჩვენ სწორედ ასეთი შესაძლებლობა მოგვეცა და იმედი გვაქვს, რომ უახლოეს მომავალში შევძლებთ ჩვენს ქვეყანაშიც მივიღოთ თქვენი უნივერსიტეტების რექტორები.

პროფესორი ედვარდ ლაჩვილდი



... * ...
 * *

ჩენს უნივერსიტეტში ბევრს სხვა ენასთან ერთად ქართული ენაც ისწავლება. მე ვამაყობ იმით, რომ იმ დაწესებულებათა შორის, რომლებიც ქართულ ენას ასწავლიან, ჩემი უნივერსიტეტიც არის.

ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ საქართველოში მოგზაურობით და შინ დაბრუნებისას სტუდენტებს და ყველა ჩემს მეგობარს მოვახსენებ ჩემს შთაბეჭდილებებს, რომლებიც მივიღე თქვენს მშვენიერ ქვეყანაში. მოვახსენებ იმას, რომ საქართველო განათლებული და მოწინავე კულტურის ქვეყანაა, სადაც ჩვენ ბევრი რამ საინტერესო ვნახეთ, რაზედაც წინათ წარმოდგენაც არ გვქონდა.


დინლ მელოტი,

კორნელის უნივერსიტეტის პრეზიდენტი.


*

* *

წინათ თუ საქართველოს სოფლებში წერა-კითხვის მცოდნე თითზე ჩამოსათვლელი იყო, დღეს საქართველოში ვერ შეხვდებით წერა-კითხვის უცოდინარს. 4.66± სკოლაში 700 ათასზე მეტი მოსწავლეა. საერთო განათლების სკოლებში 60 ათასამდე პედაგოგი მუშაობს. წინათ საქართველოში ერთი უმაღლესი სასწავლებელი იყო, დღეს 19 უმაღლესი სასწავლებელი და 81 ტექნიკუმი, სადაც, რაშდენიზე ათეული ათასი ახალგაზრდა სწავლობს, რესპუბლიკაში 146 სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებაა, სადაც 2.500-ზე მეტი მეცნიერი მუშაკი ამუშავებს სხვადასხვა თემებს. რესპუბლიკის უმაღლეს კულტურულ ცენტრს წარმოადგენს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, სადაც 100-ზე მეტი აკადემიკოსი



344



თბილისი, რუსთაველის სახელობის პროსპექტის ხედი.

„თეთრი ნახშირის“ ქვეყანა

საქართველო ეკონომიურად და კულტურულად განვითარებული რესპუბლიკაა. აქ ჩვენ გავეცანით ჰიდროტექნიკური მშენებლობის საინტერესო პრაქტიკას. საქართველოში გაგვაოცა ჰიდრომშენებლობის დიდმა მასშტაბმა. ამას ვერ ვიტყვით ამერიკის შეერთებულ შტატებზე. საერთოდ ამერიკაში ჩვენ არა გვაქვს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმები. ჰიდროტექნიკური მშენებლობა ჩვენში მეტად განსაზღვრულია, და რაც აშენდა, ისიც განსვენებული პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის დროს. ეიზენჰაუერის მთავრობას ამ მიმართულებით ბევრი არაფერი გაუკეთებია. ეტყობა, ჩვენს პრეზიდენტს ფული სხვა მიზნებისათვის ესაჭიროება. მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი წლისათვის მდგომარეობა გამოკეთდება, რადგან ექვი არ მეპარება, რომ ამ არჩევნებში დემოკრატები გაიმარჯვებენ. 100 სენატორიდან 65 სენატორი დემოკრატია. ასე რომ ჰიდრომშენებლობის რუზველტისეულ დემოკრატიულ ტრადიციებს აღვადგენთ.

ძალიან მოგვეწონა ქართული სოფლები, ელექტრობით განათებული კოხტა სახლები, გამრჯე, ნიჭიერი და სტუმართმოყვარე ხალხი. მაგრამ ჩემს მესხიერებაში განსაკუთრებით აღიბეჭდა გამწვანების, ტყის დაცვისა და ტყის ახალი მასივების გაშენების სამუშაოები. ამ მხრივ ის დიდი ორგანიზაციული მუშაობა, რომელსაც ქალაქის ხელმძღვანელობა ეწევა და საერთოდ უნარი საზოგადოებრივი ძალების მორალური მობილიზაციისა, რომელსაც თქვენი ხელმძღვანელები იჩენენ, ის ერთსულოვნება, რომლითაც ხალხი ებმება ყველა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეში, ვფიქრობ, საფუძველია თქვენი წარმატებებისა, მშენებლობის, ეკონომიკისა და

კულტურის დარგში. ასეა ჰიდრომშენებლობის დარგშიც. ეს დარგი თქვენში საერთო-სახალხო ინტერესის საგანია. ამიტომ არის, რომ ასეთ წარმატებებს მიაღწიეთ.

მრნესტ გრიუნინგი,

სენატორი, ამერიკელ ენერგეტიკოსთა
დელეგაციის წევრი.

* * *

საქართველოს დამსახურებულად ეძახიან „თეთრი ნახშირის“ ქვეყანას. საუკუნეობით გამოუყენებელი წყლის ენერჯია დღეს ხალხის სამსახურშია ჩაყენებული. მდინარეები, წყალვარდნილები, რომლებიც ზათქითა და ხმაურით მიედინებიან საქართველოს მთა-ბარში, დღეს ათასძალიან ტურბინებს აბრუნებენ, სინათლესა და ძალას აძლევენ ადამიანებსა და მათს სახალხო მეურნეობას.

ჰიდროენერჯიის მარაგის მიხედვით საქართველო წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს როგორც არიან საფრანგეთი, შვეიცარია, რუმინეთი, იტალია, ესპანეთი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი რამდენიმე კუსტარული ელექტროსადგური იყო. დიდი ლენინის ინიციატივით შედგენილი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმის მიხედვით 1928 წელს დაიწყო საქართველოში პირველი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ზემო ავჭალაში. ამ დღიდან არ შენელებულა ჩვენი სამშობლოს ელექტროფიკაციის ტემპი. ზედიზედ ჩადაგა მწყობრში ჰიდროსადგურები მტკვარზე, რიონზე, აპარისწყალზე, აბაშაზე, ალაზანზე, ლაჯანურზე, ხრამსა და სხვა მდინარეებზე. დღეს იშვიათად ნახავთ სოფელს, სადაც არ იყოს „ილიჩის ნათურა“. ტრანსპორტი და მრეწველობა ელექტროფიცირებულია. საქართველომ ელექტროენერჯიის გამომუშავებაში ერთ სულ მოსახლეზე უკვე გაუსწრო საფრანგეთს, შვეიცარიას, იტალიას, ბელგიას.



საქართველოს საბჭოთა მემკვიდრისა და ამჟამინდელი მთავრობის
თანამდებობის მქონეები უბრალოდ უნდა იყვნენ, როგორც
საქართველოს მემკვიდრეები და უნდა იყვნენ მისი



საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარე ჟან შაბან
დელმასი ნეუღლითურთ თბილისში.

საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარე ჟან შაბან

ფრანგი სტუმრები საქართველოში

დიდი კმაყოფილების გრძნობით იმოგზაურა საქართველოში საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატთა დელეგაციამ.

თბილისში ჩვენ დაგვიპყრო! — თქვა მამადავითზე ასულმა დეპუტატმა მიშელ ჟაკემ. ქართული შამპანური ღვინოების ქარხნის დათვალიერების შემდეგ სტუმრებმა ერთხმად აღიარეს, რომ ქართულ შამპანურს თავისუფლად შეუძლია გაუწიოს კონკურენცია საუკეთესო შამპანურ ღვინოებს. ყველაზე საინტერესო იყო ფრანგი პარლამენტარების მოგზაურობა რუსთავში. მათ თითქმის მთელი დღე დაჰყვეს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, სადაც მათ განმარტებას აძლევდა ქარხნის დირექტორი იოსებ შარაშენიძე, რომელმაც ამ შესანიშნავი ქალაქის ისტორიაც უამბო სტუმრებს. ქარხნიდან სტუმრები ეწვივნენ მეტალურგთა კულტურის სასახლეს, გაეცნენ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებს, დაათვალიერეს ქალაქი, იყვნენ ქალაქის ახალშენებლობებზე.

საფრანგეთის ეროვნული კრების ვიცე-თავმჯდომარემ აქენ კლოდიუს პეტიმ აღნიშნა:

— ეს მშვენიერი, თანამედროვე ქალაქია. აქ ისე კარგად არის ორგანიზებული წარმოება, რომ არ იგრძნობა კვამლი და ქვარტლი, ადამიანის შრომა შემსუბუქებულია თანამედროვე მექანიზმებით და ადამიანის დასვენებისათვის აქ, ქალაქში შექმნილია ყველა პირობა.


ქალაქიდან გამგზავრების წინ საფრანგეთის ეროვნული კრე-

ბის თავმჯდომარემ ჟან შაბან დელმასმა ქართველ მეტალურგებს მიართვა მედალი საფრანგეთის სახელმწიფო გერბის გამოსახულებით. ამ საპატიო საჩუქარს რომ აბარებდა, მან განაცხადა:

— გიძღვნით რა ამ მედალს, ჩვენ გვსურს, რომ თქვენ იგი შეინახოთ ამ ქარხანაში ჩვენი ყოფნის სახსოვრად. იმან, რაც აქ ვნახეთ, პირდაპირ აღგვაფრთოვანა. მცირე დროც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ დავრწმუნებულყავით იმ უდიდეს მიღწევებში, რომლებიც მოუპოვებია ქართველ ხალხს.

— უკვე ახლავე შეგვიძლია განვაცხადოთ, — თქვა ბატონმა ჟან შაბან დელმასმა, — ჩვენ საბჭოთა კავშირიდან მიგვაქვს ცოდნისა და გამოცდილების ისეთი მარაგი, რომელიც საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო მეტი მონდომებით ვიბრძოლოთ ურთიერთგაგებისათვის.





რუსთავი — მშვიდობის ქალაქი

განცვიფრებული ვართ იმ დიდი ხარკებით, რასაც საბჭოთა საქართველო ეწევა სოციალური უზრუნველყოფის სხვადასხვა დარგში.

დღეს ჩვენ ვინახულეთ ქალაქი რუსთავი, სადაც დავათვალიერეთ ფოლადის გამომმუშავებელი ვეება მეტალურგიული კომბინატი, ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ ის ადგილი, სადაც ათიოდე წლის წინათ უდაბნო იყო, დღეს კი აღმართულია დიდი და ლამაზი ქალაქი თავისი სკოლებით, საავადმყოფოებით და მშვენიერი სახლებით მუშებისათვის. ეს ქალაქი მოწმობს საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობისა და საერთოდ სახალხო მეურნეობის განვითარების მაღალ დონეს.



ამ შთაბეჭდილებით მივემგზავრებით ამერიკაში. ყოველრგვამასთან ერთად, რაც მთავარია, ჩვენ დავრწმუნდით თქვენი ხალხის მისწრაფებაში მშვიდობისაკენ. მინდა დაგარწმუნოთ ამერიკელი ხალხის სახელით, რომ ჩვენც მშვიდობა ვესურს.

ჩარლზ უოტლანდი,
ამერიკის შეერთებული შტატების სოციალური
უზრუნველყოფის სახელმწიფო ინსპექტორი.

სურათში: რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

*
* *

მრავალი აოხრება და დარბევა განიცადა შორეულ წარსულში ქალაქმა, რომელიც დიდი შოთას სახელს ატარებს. დღემდე შემორჩენილი ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები მკვევრმეტყველურად ღაღადებენ ჩვენი ერის მწარე წარსულზე, ღაღადებენ იმაზე, თუ როგორ ანადგურებდნენ და მიწასთან ასწორებდნენ მტრები ქართველი კაცის ნაოფლარს. მართალია რუსთავი იწოდა და ინგრეოდა, მაგრამ არ იღუპებოდა, იგი ფერფლიდან და ნანგრევებიდან ფეხზე დგებოდა. მაგრამ XVII საუკუნის მიჯნაზე იგი მიწასთან გაასწორეს, ჭვა ჭვაზე აღარ დარჩენილა. უველაფერი მოისპო და განადგურდა. ქალაქის სახელიც დავიწყებას მიეცა.

საუკუნეობრივი დუმილი დაარღვია მხოლოდ დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ. რუსთავის ველმა თითქოს ამოისუნთქა. 15 წლის განმავლობაში საბჭოთა ადამიანთა შემოქმედებითა შრომამ სიცოცხლე დაუბრუნა ამ ადგილებს. ნანგრევებზე შეიქმნა ახალი ქალაქი 70 ათასი მცხოვრებით. ცამდე ამართულ ვეება მიღებში გამოჩნდა ბოლი, დაიწყო ქართული ფოლადის დნობა და დღეს სად, ქვეყნის რომელ კუთხეში არ შეხვდებით ამ დიდებული ქალაქის პროდუქციას. მაგრამ რუს-

თავში მართო შეფოლადეები როდი არიან. აქ არიან ქიმიკოსები, მეცემენტეები, მშენებლები... რუსთავს დღეს იცნობენ შორს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მიღმაც. მას იცნობენ ინდოეთსა და ჩინეთში, არგენტინასა და ბულგარეთში, გერმანიასა და უნგრეთში, და კიდევ ვინ მოთვლის რამდენ ქვეყანაში იგზავნება ქართული ფოლადის ქალაქის პროდუქცია. მრავალ უცხოელ სტუმარს შეხვედებით რუსთავის ფართო პროსპექტებზე, ბაღებსა და სკვერებში.



გვეწვივნენ ირანელი პარლამენტარები.

დაუვიწყარი დღეები

დაუვიწყარია ჩვენთვის საქართველოში გატარებული დღეები. დიდი მადლობისა და ქების ღირსია თქვენი განსაცვიფრებელი სტუმართმოყვარეობა. ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვრწმუნდებით საერთოდ საბჭოთა ხალხის და კერძოდ საქართველოს სამშვიდობო მისწრაფებებში. ყველანი მეგობრობისა და ურთიერთგაგებისაკენ ისწრაფვიან.

ჩვენ ბუერი რამ გვაქვს საერთო თქვენთან. ეს გარემოება კადევ უფრო გვაახლოებს ერთიმეორესთან.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მივიღეთ კოლმეურნეობა „საქართველოში“ ზუგდიდის მახლობლად. ჩვენ დაგვხვდა შესანიშნავი ორგანიზებული მეურნეობა, რომელსაც დიდი მოსავალი მიუღია და ხალხიც შესანიშნავად ცხოვრობს. ზღვაშიც ვიბანავეთ და მასპინძლობა ხომ პირდაპირ საარაკო გაგვიმართეს.

პირდაპირ შეყვარებულები ვართ თქვენს დედაქალაქზე. იგი განსაკუთრებით მომაჯადოებელია ღამით. ეს ნამდვილი ზღაპრული ფოთიერვერკია.

ანდრიუ მურიე,

დიდი ბრიტანეთის ლიბერალური პარტიის
პრეზიდენტი, ქალაქ ედინბურგის მერი.



ვიცხოვროთ მშვიდობით

მე ვმუშაობ განათლებისა და კულტურის დარგში. ბევრი რამ საინტერესო ვნახე ამ მხრივ თქვენში. ამაზე შემდეგ ახლა კი ნება მიბოძეთ მადლობა გადაგიხადოთ თქვენი გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის.

ირლანდიელებსა და საბჭოთა ადამიანებს ბევრი რამ გვაქვს საერთო — ეს გახლავთ პირდაპირობა, შრომისმოყვარეობა და კარგი მასპინძლობა. თქვენთან გავეცანი განათლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეს, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაობას. განმაცვიფრა ამ მართულებით მიღწეულმა პროგრესმა საბჭოთა ქვეყანაში.

ჩემი სამშობლო ქალაქი ბელფასტიც ფაშისტური აგრესიის მსხვერპლი გახდა ამ ომის დროს. ამიტომ მე მაინტერესებდა ის, თუ როგორ მოხდა მრავალი დანგრეული საბჭოთა ქალაქის აღდგენა და როგორ გამოიყურებიან ისინი დღეს. ამ მხრივ საბჭოთა ქალაქები დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებენ. იქ ომის ნაკვალევს ვერ ნახავთ.

განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს თქვენი ახალგაზრდობა, იგი შესანიშნავად არის განვითარებული როგორც გონებრივად, ისე ფიზიკურად.

საბჭოთა მთავრობა გრანდიოზულ ღონისძიებებს ახორციელებს განათლების, ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. იზრდება ახალი თაობა, მშვიდობისმოყვარე, ადამიანურა გრძნობით გამსჭვალული ახალგაზრდობა. ეს დიდი ამბავია ურთიერთგაგებისა და მეგობრობისათვის. მოდით ვიცხოვროთ მშვი-


დობით, მეგობრობასა და სიტკბოებაში, ჩვენი ახალი თაობის
ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის.

ფორჯ კელსი,
შოტლანდიის ქალაქ ბელფასტის
საქალაქო საბჭოს წევრი.

* * *

ჩვენი შოტლანდიელი სტუმრები გახლდნენ ზუგდიდის რა-
იონის სოფელ რუხში. ბევრ ჩვენს თანამემამულეს ეხსომე-
ბა თუ რას წარმოადგენდა წინათ ეს სოფელი. ამაზე არ შევ-
ჩერდებით. ჩვენ მხოლოდ მოგახსენებთ იმაზე, რაც არის
აქ დღეს. ამ სოფლის კოლმეურნეობას, რომელიც „საქართ-
ველოს“ სახელს ატარებს, უნარიანად ხელმძღვანელობს ორ-
გზის სოციალისტური შრომის გმირი ანთიმოზ როგავა.

ჩაი! აი რა არის ამ კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითა-
დი წყარო. ვის გაეგონა წინათ ჩაი, ახლა კი ამ სოფლის კო-
ლმეურნეობის შემოსავალმა 20 მილიონ მანეთს გადააჭარბა.
აქ საშუალოდ ჰექტარზე 5.000 კილოგრამ ჩაის მწვანე ფო-
თოლს კრეფენ, 40 ცენტნერი სიმინდი მოჰყავთ ჰექტარზე,
ერთ საფურაქე ძროხაზე 2.000-ზე მეტ კილოგრამ რძეს წვე-
ლიან. დიდებული ორსართულიანი ოდასახლები განათებულია
ელექტრონით, რადიოფიცირებულია, სოფლის ასფალტირე-
ბულ მაგისტრალებზე დაქრიან „წიმები“, „პობედები“, „ვო-
ლგები“ და „მოსკვიჩები“.





ვეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი აფხაზეთში
ას წელს გადაცილებულ კოლმეურნეებთან.

საარაკო წარმატებები

ვნახე ქვეყანა, რომელსაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რუსი ხალხის მეგობრული დახმარებით საარაკო წარმატებები მოუპოვებია. სადაც კი ვიყავი, თბილისში იყო ეს თუ მცხეთაში, რუსთავსა თუ აფხაზეთში, ყველგან ვნახე გამრჩე აღამიანთა შესანიშნავი შრომის ნაყოფი. საბჭოთა საქართველო დიდი შთამაგონებელი ძალაა, საუკეთესო მაგალითია იმ ერებისათვის, რომლებმაც თავისუფლება მოიპოვეს და რომლებიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. ვიეტნამელი ხალხი დიდი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით განავითარებს მეგობრობას ქართველ ხალხთან. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო. სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგები მონათესავენი არიან. კერძოდ სუბტროპიკული მეურნეობა საბჭოთა საქართველოში ისე შესანიშნავად არის ორგანიზებული, რომ შე ვფიქრობ აქ ჩვენ შეგვიძლია ბევრი რამ ვისწავლოთ.

ხო ში მინი,

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის
პრეზიდენტი.



1500 წლის დედაქალაქი

მე შორეული ვიეტნამის ახალგაზრდა სოციალისტური რესპუბლიკიდან, ხო ში მინისა და დიენ ვიენ ფუს სამშობლოდან ჩამოვედი, რათა მენახა თქვენი მშვენიერი დედაქალაქი. აქ

ყოველი ჩვენგანი განიცდის ისეთ გრძნობას, თითქოს იგი თავის სამშობლო ქვეყანაში იყოს. მართალია, მხოლოდ ორი კვირა ვართ თქვენს ქვეყანაში, მაგრამ თქვენ ყველანი ჩვენთვის ახლობლები გახდით.

თბილისში გატარებული დღეები დაემთხვა ამ დიდებული ქალაქის 1500 წლის იუბილეს. 1500 წელი! რა შესანიშნავი თარიღია, თქვენ ყველა საფუძველი გაქვთ იამაყოთ თქვენი ქალაქით და მისი დღესასწაულით.

მე ამაყად ვატარებ ამ დღის აღსანიშნავ სამკერდე ნიშანს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ იმ დღიდან, როცა ვახტანგ გორგასალმა პირველი ქვა ჩაუშვა თბილისის პირველი შენობის საძირკველში, თქვენმა წინაპრებმა ბევრი შესანიშნავი ფურცელი ჩაწერეს თქვენი ქვეყნის ისტორიაში.


ძველი თბილისი მისი ცამდე აღმართული ციხე-სიმაგრეებით ჩემს წარმოდგენაში ისახება როგორც თავისუფლების მოყვარე ერის სამარადისო ძეგლი, იმ ერისა, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს აწარმოებდა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

დიდხანს დარჩება ჩემს მეხსიერებაში ქალაქის ტაძრები თავისი მდიდარი არქიტექტურით.

ახალმა ეპოქამ ახალი თბილისი შექმნა. იგი გვაკვირვებს და გვაოცებს თავისი სილამაზით. პოეზიას და აღტაცებას აყუევს და რაც საინტერესოა, ის არ გამომრჩეს. ეს გახლავთ ჩემ სპეციალობასთან დაახლოებული დარგი — ქართული კინემატოგრაფია, რომელმაც აღმაფრთოვანა.

ის, რაც თქვენ შეგიქმნიათ, კავკასიონის მთებზე მალაღობა და არ დაეტევა ორ ზღვას შუა. ის, რაც თქვენ შექმენით, აღაფრთოვანებს ვიეტნამელ ხალხს თავისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ფამ ტუნ ხანი,
ვიეტნამის კინოსტუდიის დირექტორი.





არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ახალგაზრდათა
დელეგაცია თბილისის ზღვაზე.

თქვენს მიღწევებს გავაცნობთ ჩვენს ხალხს

ჩვენ გვალელებს თქვენი სოლიდარობა და თანაგრძნობა აფრიკის ხალხების დამოუკიდებლობისა და თავისუფლები-სათვის ბრძოლაში.

ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენს ქვეყანაში ნახულმა მიღწევებმა.

ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა თქვენმა მიღებამ. ჩვენ ვნახეთ საკუთარი თვალით, რომ თქვენ ყველანი ბედნიერნი ხართ იმით, რომ შრომობთ თქვენი სამშობლოს კეთილდღე-ობისათვის. მე გასურვებთ ხალხის კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობას, ქვეყნის ეკონომიკის მძლავრ განვითარებას. ჩვენ აღფრთოვანებული ვართ თქვენი სამშობლოს უდიდესი მიღწევებით. განის ხალხი და მისი ლიდერები იცნობენ საბ-ქოთა კავშირს და გაიგებენ კიდევ უფრო მეტს ამ შესანიშ-ნავ ქვეყანაზე სამშობლოში ჩვენი დაბრუნების შემდეგ. ჩვე-ნი დღეგაცია შეეცდება საფუძვლიანად გააცნოს განის ხალხს თქვენი მიღწევები. ყოველი ჩვენგანი, თუ კი ექნება შესაძლებლობა, დიდი სიამოვნებით ჩამოვა კიდევ თქვენს ქვეყანაში.

ზოცო ზოტსიო,

განის პარლამენტის წევრი.





საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი — ქუთაისი.

შთაბეჭდილებანი ქართველ ქაღზე

ჩვენთვის დიდი სკოლა იყო საბჭოთა კავშირში მოგზაურობა. ჩვენ აქ ვნახეთ თავისუფალი ქალის შემოქმედებითი შრომის საარაკო ნაყოფი. თბილისში ჩვენ ვნახეთ თავისუფალი, ბედნიერი ქალები, რომლებიც თანასწორი არიან მამაკაცებთან. შეხედეთ მათს მოლიმარ, შუბლგახსნილ, ლამაზ სახეებს. მართლაც მომხიბლავნი არიან ისინი. ბავშვებმა კი სულ მომაჯადოეს. მე ვიგრძენი ის დიდი ზრუნვა, რომელსაც ხალხი და პარტია იჩენენ ქალთა და ბავშვთა მიმართ. ვნახე ქართველი ქალები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში.

თბილისი წარუშლელი იქნება ჩემს მეხსიერებაში როგორც მზისა და სიხარულის ქალაქი, თავისუფლებისა და ბედნიერების ქალაქი, დიდი ისტორიის და დიდი მომავლის ქალაქი. მთელი დელეგაციის სახელით გადმოგცემთ ჩვენს მხურვალე ვაშას თქვენ, მის მცხოვრებთ, მის მშენებლებს, მის მოამაგეებს. მშვიდობა და ბედნიერება იყოს ათასწლობით თქვენი და თქვენი მშვენიერი ქალაქის თანამგზავრი.

ლე ტამი,

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელ ქალთა ფედერაციის წარმომადგენელი.

* * *

ძალიან მაინტერესებდა საქართველოს დედაქალაქის თბილისის ნახვა. ჩემს წარმოდგენაში იგი იყო საარაკო, გმირული ისტორიის მქონე ქალაქი. განსაკუთრებით კი მაინტერესებდა, თუ რა ცვლილებები მოხდა ამ ქალაქში ოქტომბრის

რევოლუციის შემდეგ, ამ სამი დღის განმავლობაში მე ვაკვირ-
ციანი თბილისის ქველ და ახალ უბნებს. ნახულით აღფრთო-
ვანებული დავრჩი, ქალაქი გარშემორტყმულია ბაღებითა და
პარკებით. საერთოდ თბილისში ჩვენ თავს ვგრძნობდით ისე,
როგორც შინ. ყველგან, სადაც კი ვნახეთ ქართველი ქალები,
ქარხანაში იყო ეს თუ დაწესებულებაში, ისინი ნიჭიერი, საქ-
მის მცოდნე და დიდი კულტურის მქონე ადამიანების შთა-
ბეჭდილებას ახდენენ.

სოფიო ჯაკობსი,

ამერიკელ ქალთა საბჭოს ვიცე პრეზიდენტი.

* * *

წილად მხვდა ბედნიერება ფეხი დამედგა საბჭოთა საქართ-
ველოს თავისუფალ მიწაზე. მენახა მამაცი, სტუმართმოყვარე
და კეთილშობილი ხალხის სამშობლო. დღევანდელი საქართ-
ველო ერაყის ხვალისდელი დღეა, — ასე მეჩატება ახლახან
განთავისუფლებული ჩემი სამშობლოს მომავალი, და ჩემი
ვული უსაზღვრო ბედნიერებით ივსება. საბჭოთა საქართვე-
ლოს ქალებმა დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე.
განსაკუთრებით დიდი მოვლენაა ის გარემოება, რომ ქალები
ასეთი აქტივობით მონაწილეობენ ქვეყნის სამეურნეო და
კულტურულ ცხოვრებაში. შესანიშნავია მათი გარეგნობა, მათი
ჩაცმულობა, მათი მეოჯახეობა. შესანიშნავია ის უდიდესი
პატივისცემა, რომლითაც ქალები სარგებლობენ თქვენს ქვე-
ყანაში. მხოლოდ ასეთ ხალხს შეუძლია შექმნას ის, რაც მე
ჩემი საკუთარი თვალთ ვნახე.

ს. ფახრიბ,

ერაყელი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე ქალი.

ქართველები ძალიან სიმპათიური არიან. უნდა შევნიშნო, რომ აქ არიან ბევრი სხვადასხვა რწმენისა და რელიგიის ადამიანები, რომლებიც მეგობრულად ცხოვრობენ. თეატრებში, კლუბებში, კინოებში და სხვა გასართობ ადგილებში ბევრი ხალხი იყრის თავს. ჩვენ ეკლესიებშიც შევიხედეთ, იქაც ხალხი თავისუფლად გრძნობს თავს. საქართველოში, და საერთოდ საბჭოთა კავშირში, ძალიან ბევრ ქალს შეხვედებით ქარხნებში, ადმინისტრაციულ სახლებში, ბევრია სახელმწიფო მოღვაწე ქალები, რასაც დასავლეთის ქვეყნებში იშვიათად ნახავთ. აქ ქალები არიან მეცნიერი მუშაკები, ბავშვთა აღმზრდელები, მასწავლებლები. ქალებს თავიანთი წვლილი შეაქვთ მშვიდობისათვის ბრძოლაში და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებაში.

ელისაბედ ზოგონი,

ბელგიელი მკერავი ქალი.





გერმანელი ტურისტები (ფედერაციული რესპუბლიკიდან) ბათუმში.

დიად სიძველეთა საუნჯე

ჩემი დიდი სურვილია, შესაძლებლობის ფარგლებში, შევისწავლო საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფია. ამ მიზნით ვეწვიე საქართველოს. აქ, საქართველოში დაუუკავშირდი ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ისტორიულ მუზეუმს და იმ პირებს, რომლებიც მუშაობენ და მოღვაწეობენ ეთნოგრაფიის დარგში. ამასთან შეხვედრა მქონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სათანადო ინსტიტუტების მუშაკებთან, ბედნიერება მქონდა მენახა საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა, გავცნობოდი ქალაქ გორს თავისი ღირსშესანიშნაობებით, ვეწვიე სოფელ მეჭვრისხევს, გავეცანი ამ სოფლის კოლმეურნეობის მუშაობას, რამაც ჩემში უდიდესი კმაყოფილების გრძნობა გამოიწვია. თქვენი ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკთა და მათი ნაშრომების გაცნობამ და საერთოდ ეთნოგრაფიის საქმის შესწავლამ, რამდენადაც ეს მე შეეძლო, იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ეთნოგრაფია საბჭოთა ქვეყანაში დაყენებულია ფართო მეცნიერულ ნიადაგზე და ემსახურება საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრების, მისი ისტორიის, მისი ადამ-ჩვეულებების, დღევანდელი დღის ეკონომიკისა და კულტურის შესწავლის საქმეს. ბელგიაში კი ეთნოგრაფია მხოლოდ კოლონიურ ხალხთა ცხოვრებას განიხილავს.

სამწუხაროდ, საქართველო უფრო ნაკლებად არის ცნობილი ბელგიაში, ვიდრე ბელგია საქართველოში. ჩვენთვის დიდად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ დასავლეთ ევროპის ისეთი პატარა ქვეყანა, როგორც არის ბელგია, ასე კარგად არის ცნობილი ჩვენგან დაშორებულ საქართველოში. ეს თქვენს კულტურას მოწმობს.


ჩვენში საბჭოთა კავშირის ხალხები მეტად თუ ნაკლებად ცივილიზებულად მიაჩნიათ. საქართველოს მაგალითზე მე დავრწმუნდი, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები უძველესი და ამავდროს შესანიშნავი ახალი კულტურის მქონენი არიან.

ყოველივე იმით, რაც ამ სამი დღის განმავლობაში საქართველოში ვნახე, დავრწმუნდი, რომ საქართველო არა მარტო ულამაზესი რესპუბლიკაა, არა მარტო მრავალფეროვანი ანტიკური ცივილიზაციის ქვეყანაა, იგი თანამედროვე უახლესი მაღალი კულტურის ქვეყანაც არის. განსაკუთრებით დიდ მთაბეჭდილება მოახდინა სოფლის ცხოვრების უახლესმა ფორმებმა.

ახლა იმდენი ინფორმაცია მაქვს საბჭოთა საქართველოს შესახებ, რომ შემიძლია ბევრი რამ საინტერესო მოეუთხრო ჩემს თანამემამულეებს ბელგიაში.

ე. ბუტნერი,

პროფესორი, ბელგიელი ეთნოგრაფი.





პოლონელ განათლების მუშაკთა დელეგაცია მინისტრის ვ. ტოლოდუცკის მეთაურობით ესწრება ფიზიკის გაკვეთილს თბილისის მე-17 საშუალო სკოლაში.

საკუთარი თვლით ვნახე

ბევრი რამ წამიკითხავს საბჭოთა ქვეყნის შესახებ, მაგრამ იმან, რაც სინამდვილეში ვნახე, ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა, პირველ რიგში, რაც მთავარია ჩემი აზრით, ეს გახლავთ სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მუშაობის მაღალი დონე თქვენს ქვეყანაში. მე როგორც სოფლის მეურნეობის სპეციალისტმა საკუთარი თვლით დავინახე მეცნიერულად დამუშავებულ და პრაქტიკულად შემოწმებულ მთელ

რიგ ღონისძიებათა შედეგები საბჭოთა ქვეყნის სოფლის მეურნეობაში. გამოცდილების თვალსაზრისით თან მიმაქვს მეტად საინტერესო მასალა. თქვენც მოგეხსენებათ, რომ მექსიკაში სოფლის მეურნეობის კულტურა არც თუ ისე მაღალ დონეზე დგას, ასე რომ ჩემი მოგზაურობა საბჭოთა კავშირში, ვფიქრობ, დიდ სარგებლობას მოუტანს ჩემს ქვეყანას.

მოდისას და ლა კანია.

მექსიკელი საზოგადო მოღვაწე, ეკონომისტი.

მადლობა ქართველ მეცნიერებს

რამდენიმე დღე გაატარა საქართველოში ცნობილმა გერმანელმა კავკასიოლოგმა მიუნსტერის უნივერსიტეტის პროფესორმა კარლ შმიდტმა.

დასავლეთგერმანელმა მეცნიერმა მოსკოვში მონაწილეობა მიიღო ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში.

კარლ შმიდტი გაეცნო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მუშაობას, დიდი ინტერესი გამოიჩინა ხელნაწერთა განყოფილების მიერ გაწეული მუშაობისადმი. გაეცნო და დაუახლოვდა ქართველ მეცნიერებს გიორგი ახვლედიანს, აკაკი შანიძეს, გიორგი წერეთელს, არნოლდ ჩიქობავას, ილია აბულაძეს, ვარლამ თოფურიას და სხვებს.

გერმანელმა სტუმარმა ინახულა საქართველოს უძველესი სატახტო ქალაქი მცხეთა, დაათვალიერა თბილისი თავისა ღირსშესანიშნაობებით, იმოგზაურა თელავში, სადაც საკმაო ხანი დაჰყო ერეკლეს სახლ-მეზეუმში, დაათვალიერა წინანდლის საბჭოთა მეურნეობა, იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის

სახლ-მუზეუმში. კარლ შმიდტს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს აკურელმა კოლმეურნეებმა, რომლებსაც გერმანელი მეცნიერი ქართულად ესაუბრებოდა.

გამგზავრების წინ კარლ შმიდტმა განაცხადა:

„პირველი შთაბეჭდილებანი ქართველ მეცნიერებთან შეხვედრისაგან მე მივიღე ამ სამიოდე კვირის წინათ ორიენტალისტთა მოსკოვის XXV საერთაშორისო კონგრესზე. იშვიათი გრძნობა გეუფლება, როდესაც ეცნობი ისეთ დიდ ქართველ ცნობილ მეცნიერებს, როგორც არიან შანიძე, ახვლედიანი, ჩიქობავა და სხვები.

კონგრესს ექსკურსიები მოჰყვა. კონგრესის მონაწილე საბჭოთა და უცხოელი მეცნიერები თბილისსა და ერევანს ეწვივნენ. საბჭოთა მეცნიერმა პეტროვსკიმ ჩვენ ფრიალ ღრმა მეცნიერული მოსახეება გაგვიკეთა უძველესი ურარტუს კულტურის შესახებ.

მცხეთისა და ჯვრის მონასტრის დათვალიერებამ, რაშიაც ჩემთან ერთად მონაწილეობდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორც არიან ამერიკელი პროფესორები გოტცე და გელბი, ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. დიდი შთაბეჭდილება მივიღე აგრეთვე თბილისის სიონის დიდებული კათედრალური ტაძრის დათვალიერების შედეგად.

ექსკურსიების დამთავრების შემდეგ ერთი კვირა დავყავი ამ მშვენიერ ქალაქში. თბილისელები კეთილშობილებით გამოირჩევიან, მუდამ მზად არიან ყოველმხრივი დახმარებისათვის და თანაც გულთბილი და სტუმართმოყვარენი არიან. მაგალითად, ერთ ჩემ თანამემამულესა და მე თბილისის რესტორან „გემოში“ სრულიად მოულოდნელად მეგობრულად გავვიმასპინძლდნენ ჩვენთვის უცნობი ქართველები.

ჩემმა ქართველმა კოლეგებმა გულუხვად დამასაჩუქრეს წიგნებით და სხვა სახსოვრებით.

გერმანული კავკასიოლოგიისათვის, რომელსაც ხანგრძლივი და კარგი ტრადიციები აქვს, მეტად საყურადღებოა ის

კონტაქტები, რაც ქართველ მეცნიერებთან დამყარდა. ჩემი სურვილი იქნებოდა მომავალში საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ კავკასიოლოგთა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ჟურნალების რეგულარული ურთიერთგაცვლის მოწყობა.

მიუხედავად დიდი დატვირთვისა, ქართველი მეცნიერება ყოველთვის მზადყოფნას იჩენდნენ ყოველმხრივი დახმარება გაეწიათ ჩემთვის. მე არ ძალმიძს ყველა იმათი გვარი ჩამოვთვალო, რომელთა წინაშეც დიდად ვარ დავალებული. მხოლოდ რამდენიმე მათგანს დავასახელებ: აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, ილია აბულაძე, სერგა ქლენტი, გიორგი წერეთელი, მზექალა შანიძე, ელენე მეტრეველი, ჩემი მეგობარი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში გურამ თოფურია, რომელიც გულწრფელად ზრუნავდა ჩემზე.

ის გულითადი და ამავდროს ფრიალ სასარგებლო შეხვედრები, რომლებიც მე მქონდა ბატონ პროფესორ ილია აბულაძესთან და მის თანამშრომელ ქალებთან ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში, ჩემთვის მუდამ დაუვიწყარი იქნება, ასევე მეგობრული შეხვედრები ჩემს მეგობრებთან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, ან კიდევ ჩემი მოგზაურობა მეღვინეობით და ისტორიული წარსულით განთქმულ კახეთში, რაც საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ მომიწყო. დაუვიწყარია სოფელ აკურაში გამართული დიდა წვეულება, რომელსაც ჩემთან ერთად ესწრებოდა სახელგანთქმული აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი.

დასასრულ, მე ვიღებ ქინკილას, რომელიც თბილისის კონიაკის ქარხნის დირექტორმა თ. ფურცელაძემ მისახსოვრა და მივმართავ მშვენიერ საქართველოს და მის სტუმართმოყვარე მკვიდრთ: დიდი მადლობა და ნახვამდის!

პროფესორი კარლ უმიღბი,




დიდი მაგალითი

დიდი მანძილი გადავლახეთ იმისათვის, რომ ჩამოვსულიყავით სოციალიზმის ქვეყანაში და გვეხილა თავისუფალი შრომის დიადი ნაყოფი. ყველა შეხვედრაში, რომელიც კი საბჭოთა ქვეყანაში გვქონდა, ყველანი — დიდი თუ პატარა — მხურვალე მეგობრობის გრძნობით გვხვდებოდნენ. ჩვენ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ხალხი არა მარტო დიდ პროგრესს აღწევს ეკონომიკისა და კულტურის დარგებში, არამედ მან თავის ღრობე საკადრისი პასუხიც გასცა აგრესორებს, კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერების მტრებს. განსაკუთრებით სასიამოვნოა საუბარი დიდი ქვეყნის ხალხთან, რომელმაც უმოკლეს ვადაში საარაკო წარმატებებს მიაღწია. ჩვენ პატარა ქვეყნიდან ვართ, მაგრამ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენი ქვეყნის პროგრესის გაცნობას. თქვენმა ქვეყანამ მისცა კაცობრიობას სოციალურ გარდაქმნათა ისეთი მაგალითი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის მომავლისათვის. ამიტომ ჩვენ მთელი გულწრფელობით გამოეთქვამთ ჩვენს კმაყოფილებას თქვენთან დაახლოების საქმეში. თქვენ გაიჭერიით კოსმოსში. ნება მიბოძეთ, ჩვენი მეგობრული ალტაცების გრძნობა გადმოგცეთ ჩემი მეგობრობის სახელით.

როგორც პატარა ერის წარმომადგენელმა, არ შემძლია დავფარო ჩემი აღფრთოვანება იმით, რაც ჩვენ ვნახეთ საქართველოში. იგი მაგალითია იმ დიდი შემოქმედებითი მუშაობისა, რომელიც შეიძლება აწარმოოს მხოლოდ თავისუფალმა და დამოუკიდებელმა ერმა.

ფორაჰიმ რიგოს პარო,

პერუს რესპუბლიკის კონგრესის წევრი.



ილიერსგან ივიცე



ინდოეთის ქაშმირის შტატის მეთაური იუვარანჯა ქარან
სინგხი თბილისში.

საქართველოს საბჭოთავო
საინფორმაციო ცენტრი

საქართველოს საბჭოთავო
საინფორმაციო ცენტრი

ქართველი ხალხი მხნედ მიაბიჯებს კომუნიზმისაკენ

საბჭოთა კავშირში ჩამოვედით იმ მიზნით, რომ გავცნობოდით პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობას.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც არის ასეთი საზოგადოება. ჩვენ მრავალი ლექცია წავიკითხეთ სოციალიზმის მშენებლობის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე, იმ დიდი დახმარების გარშემო, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

თქვენი პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობის გაცნობასთან ერთად ჩვენ გვინდა კიდევ უფრო გავაღრმავოთ არსებული მეგობრობა და გავაფართოოთ საქმიანი ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის.

ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველი ხალხის კულტურამ. ამ ხალხის სახელი მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

ჩვენ აქ ყოფნის პერიოდში დავრწმუნდით, რომ საბჭოთა საქართველოს მეცნიერები თავიანთ მუშაობაში სასიცოცხლო კავშირში არიან ხალხთან და მის ინტერესებთან კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. მე მინდა სიხარულით აღვნიშნო, რომ ქართველი ხალხი, რომელიც ცნობილია მდიდარი რევოლუციური ტრადიციებით, დღეს მხნედ მიაბიჯებს წინ კომუნიზმისაკენ.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩვენ მოვეუბნობით გერ-

მანელ ხალხს, თუ რა ვნახეთ აქ, დიად საბჭოთა ქვეყანაში,
და პირველ რიგში მოვეუთხრობთ ხალხთა იმ დიდ მეგობრო-
ბაზე, რომელიც მუდამ დარჩება ჩვენს გულსა და მესხიერე-
ბაში, როგორც დიდი შთამაგონებელი ძალა საყოველთაო
მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ორსტ მედიკე,

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკუ-
რი და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზო-
გადოების ვიცე-პრეზიდენტი.



ანთფიგნენ სტუმრებს



ფინელი გემთმშენებლები თბილისში. სტუმრები ეცნობიან ქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

შენება, მშვიდობა

მე ეკონომისტი ვარ და ჩემს სამშობლოში იმ ოლქში ვმუშაობ, სადაც უმთავრესად სოფლის მეურნეობაა განვითარებული. ამიტომ აქაც განსაკუთრებით დავინტერესდი სოფლის მეურნეობით. შესაძლებლობა მოგვეცა გავცნობოდით საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ რაიონს — დუშეთის რაიონს.

სოფლის მეურნეობის განვითარება დუშეთის რაიონში ამ კუთხის ბუნებრივი პირობების შესაბამისი მიმართულებით არის წარმართული. საერთოდ ამ რაიონში მისდევენ მეცხოველეობას. უმთავრესად მეცხვარეობაა განვითარებული. მე შევადარე მეცხვარეობის განვითარების დონე ამ რაიონში მეცხვარეობის მდგომარეობას ჩემი სამშობლოს რაიონებში. დუშეთის რაიონში თვითეული ცხვრის ნაპარსი შეადგენს 3,5 კილოგრამს, ეს შესანიშნავი მიღწევაა. მაგრამ კიდევ უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე იმ ფაქტმა, რომ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში თვითეული ცხვრის ნაპარსმა 4,5 კილოგრამს გადააჭარბა. ჩვენ კი ბრანდენბურგის ოლქში 1960 წელს შეგვიძლია თვითეულ ცხვარზე მივიღოთ 3,8 კილოგრამი მატყლი. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებამ. წარსულის გადანაშთები — ძველი სახლები, რომლებიც ახალ სოციალისტურ ეპოქას აღარ შეეფერება, ინგრევა, და შენდება ახალი სახლები. მარტო დუშეთის რაიონში ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში 4 ათასზე მეტი ახალი სახლი აუშენებიათ და ისინი კოლმეურნეთა პირად საკუთრებას შეადგენენ.

დიდად მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა წამეკითხა ლექცია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და დიაპოზიტივების საშუალებით მომეთხრო სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემებზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საბჭოთა კავშირის დახმარებით შეექმენით გერმანიის მუშათა და გლეხთა პირველი დემოკრატიული სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს მართავენ მუშათა კლასისა და გლეხობის წარმომადგენლები, რომლებიც გაერთიანებული არიან გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიაში ეს შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ გერმანიის მუშათა კლასი მეგობრობის ურდვევი ძალით შეკავშირებულია საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან.

ოდესღაც ერთმა გერმანელმა გენერალმა თქვა; მუდმივი მშვიდობა მშვენიერი სიზნარიაო. ამ სიტყვების ავტორი—მლიტარისტი გენერალი უკვე აღარ არის. ჩვენ ვიცით, რომ მუდმივი მშვიდობა შესაძლებელია. საბჭოთა კავშირის მეთაურობით მშვიდობის ძალები სძლევენ ომის ძალებს.

მტომ რიულე,

**პროფესორი, დოქტორი (გერმანიის
დემოკრატიული რესპუბლიკა).**



აღმაფროვანა თქვენმა ქვეყანამ

უნდა გამოგიტყდეთ, რომ სულ სხვა წარმოდგენა მქონდა თქვენს ქვეყანაზე, და ის, რაც ამ მოკლე დროის განმავლობაში ვნახე, უფლებას მაძლევს აღფრთოვანებული ვიყო და ეს აღფრთოვანება გადავცე ჩემს თანამემამულეებსაც. განცვიფრებული ვარ მშენებლობის გეგმებითა და მშენებლობის მასშტაბებით. წარმომიდგენია, თუ როგორი იქნება თქვენი ქვეყანა რამდენიმე წლის შემდეგ.

ჩვენ შემოქმედებითი მუშაკები ვართ, ჩვენ მშენებლები ვართ, და ამიტომ მთელი ჩვენი ბუნებით ნგრევისა და მსოფლიოს ხანძრების წინააღმდეგნი ვართ. ყველგან, სადაც კი ვიყავით — მოსკოვსა თუ ლენინგრადში, სოჭში თუ თბილისში, ყველგან ვხედავდით მშვიდობიანი შრომით გატაცებულ ადამიანებს.

წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ჩემს კოლეგებზე საბჭოთა საქართველომ, მისი მდიდარი ისტორიული წარსულის უტყუი მოწმეების, ქართული არქიტექტურისა და ხუროთმოძღვრების ძეგლების დათვალიერებამ თბილისში თუ ჯვარში, მცხეთაში თუ ატენში. ამან დაგვარწმუნა თქვენი ერის დიდ კულტურაში. ჩვენ კარგად ვიცნობთ საბერძნეთის, იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების არქიტექტურულ ძეგლებს, მაგრამ ამ საერთო არქიტექტურულ სურათში საქართველოს განსაკუთრებული ადგილი შეიძლება მივაკუთვნოთ.

თუ როგორ გაიზარდა წარსულის მიმზადველი არქი-

ტექტურული ხერხები და ფორმები თანამედროვე არქიტექტურაში, ამაზე მინდა მოგახსენოთ, რომ ყველაფერი ის, რაც მე ვნახე, შეიძლება ითქვას, განათლებულ და ნიჭიერ ქართველ არქიტექტორთა დიდი შემოქმედებითი პროგრესია. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს მათი შესაძლებლობის ზღვარი იყოს.

უდავოდ დავრწმუნდი, რომ ქართველი არქიტექტორები დიდ და ნაყოფიერ ძიებაში არიან. მთავარი ის არის, რომ ირგვლივ შენდება ახალი შენობები ადამიანის მშვიდობიანი და ბედნიერი ყოფისათვის.

დასასრულ მინდა ჩემი და ჩემი ხალხის სახელით მხურვალე სალამი გადავცე ნიჭიერ, შრომისმოყვარე და პურმარლიან ქართველ ხალხს.

ჰექტორ მარღონესი,

არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი.



მეცნიერება მაღალ დონეზე

მე მინდა საბჭოთა მეგობრებმა იცოდნენ, რომ უოველ თქვენს სიტყვას ჩვენ ვიღებთ როგორც პატივისცემას და სიყვარულს. ჩვენ ვაფასებთ და პატივს ვცემთ საბჭოთა ხალხს მისი დიდი დამსახურებისათვის მეცნიერების განვითარების საქმეში, მის ნიჭს, მის ენერჯიას, მის მიღწევებს. ასევე გვინდა, რომ თქვენც პატივს სცემდეთ ჩვენს ხალხს. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე საბჭოთა მეცნიერების განვითარების მაღალმა დონემ და იმ სერიოზულობამ, რომლითაც საბჭოთა მეცნიერები მუშაობენ ჩვენ მიერ დაუძლეველად მიჩნეული ბიოლოგიისა და მედიცინის მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტაზე. ამ მიმართულებით ჩვენ უკვე გავეცანით მრავალ საინტერესო ნაშრომს. ჩვენ გვჯერა, რომ ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლა და მეგობრული დამოკიდებულება ხელს შეუწყობს ამერიკელი და საბჭოთა ხალხის დაახლოებას. ეს აუცილებელია საყოველთაო მშვიდობისათვის.

პარლ ფრენკი,

ამერიკელი პროფესორი.



დიდებული მატერიალური და სულიერი კულტურა

მოსკოვში ჩემმა მასპინძლებმა შემომთავაზეს მოგზაურობა საბჭოთა კავშირის ქალაქებში. მე უყოყმანოდ ავირჩიე საქართველო და თბილისი. და აი ჩემი სურვილიც აღსრულდა. მე თბილისში ვარ. ამ ხუთი დღის განმავლობაში ჩემ მიერ ნახულმა გაამართლა ის წარმოდგენა, რომელიც მე მქონდა თქვენს ქვეყანაზე საბჭოთა კავშირში ჩამოსვლამდე. მხედველობაში მაქვს სილამაზე თქვენი ქვეყნისა, რომელზეც ბევრი რამ ვამიგონია. რაც შეეხება ხალხის კულტურას, ეკონომიკას და ტექნიკურ პროგრესს, ამ მხრავ ნახულმა ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა.

მე ვიცნობ საქართველოს ისტორიას. ეს არის ისტორია მამაცი ხალხისა, რომელიც საუკუნეობით იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისათვის.

1921 წელს მან მიადწია თავის მიზანს, ამ დღიდან იგი ნამდვილად დამოუკიდებელი გახდა.

დღეს შე მაქვს ბედნიერება ჩემი თვლით დავრწმუნდე ამაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თქვენი ქვეყანა გიგანტური ნაბიჯით წავიდა წინ. და მე ვხედავ, რომ ქართველ ერს მრავალი წლის თავგამოდებული შრომის შედეგად შეუქმნია დიდებული მატერიალური და სულიერი კულტურა.

ქარხნებისა და კოლმეურნეობების დათვალიერების შედეგად მე ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ყველა ეს მიღწევა სოციალიზმის მშენებლობის გეგმების განხორციელების ბრწყინვალე შედეგია. დიდი კმაყოფილების გრძნობით ვეც-


ნობოდი ქართველი მუშებისა და კოლმეურნეთა ცხოვრების პირობებს რუსთავისა და ბათუმის რაიონში.

ქართული უნივერსიტეტის დათვლიერებამ აღმაფრთოვანა. მე საუბარი მქონდა ქართული უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან, ვიყავი აუდიტორიებში სტუდენტებთან, დათვლიერე ლაბორატორიები და სასწავლო კაბინეტები, უველგან ვხედავ არაჩვეულებრივ ენთუზიაზმს, რომლითაც ეუფლებიან მეცნიერებას ქართველი სტუდენტები. საბჭოთა კავშირის საერთო სასწავლო გეგმაში ჩინებულად არის გათვალისწინებული ის თავისებურებანი, რომლებიც დამახასიათებელია ცალკე ეროვნებათა უმაღლესი სასწავლებლებისათვის. ეს მე მთელი სიცხადით დავინახე ქართული უნივერსიტეტის მაგალითზე, რომელიც ნამდვილად ქართული კულტურის კერაა. ნამდვილად თავისუფალი ერის თავისუფალ მოქალაქეთა აღზრდის საუკეთესო პირობებია ამ შესანიშნავ დაწესებულებაში.

ბევრი რამ საინტერესო ვნახე ქართულ უნივერსიტეტში. გადავწყვიტე დავიწყოთ მეცნიერული თანამეგობრობა სასწავლო-სამეცნიერო ინფორმაციისა და ურთიერთ გამოცდილების გაზიარების მიზნით.

აბელარდო ვილალკანდო,

პოლიციის პოტოსის უნივერსიტეტის რექტორი.





მახარაძის რაიონის ლაიფურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციოში მუშაობს
ქართველი კონსტრუქტორების მიერ შექმნილი ჩაის საკრედი მანქანა.

„მწვანე ოქრო“

საქართველოში სტუმრად იყო ცეილონის ჩაის სპეციალისტთა დელეგაცია, რომელსაც ჩაის წარმოებისადმი კონტროლის დეპარტამენტის უფროსი ბ-ნი ბალაქუმარ მახაღვეა ხელმძღვანელობდა.

ცეილონელი სტუმრები გაეცნენ კოლმეურნეობების, ჩაის საბჭოთა მეურნეობების მუშაობას მახარაძის რაიონში. კერძოდ შათ ინახულეს სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, კიროვის სახელობის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, დაათვალიერეს და საფუძვლიანად გაეცნენ ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო და საკვლევი ინსტიტუტების მუშაობას.

მახარაძიდან დელეგაცია გაემგზავრა ქობულეთის რაიონში. სადაც გაეცნო ჩაქვის ჩაის ფაბრიკის, ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა გიგანტის და კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობას.

დელეგაცია დიდხანს დარჩა ჩაის და სუბტროპიკული მეურნეობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალში, სადაც საინტერესო საუბრები ჰქონდა აკადემიკოს ქსენია ბახტაძესთან.

გამგზავრების წინ დელეგაციის ხელმძღვანელმა **ბალაქუმარ მახაღვეამ** განაცხადა:

— უკვე ერთმა კვირამ განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენ საქართველოში ვიმყოფებით. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ გავეცანით ჩაის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობას.



დიდად დაგვიანტერესა ჩაქვეში ქართველი მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მიერ გამოყვანილმა ჩაის ახალმა ჯიშებმა. ეს მართლაც დიდი და ახალი საქმეა ჩვენთვის. ჩვენზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩაის ფაბრიკებმა. განსაკუთრებით ახალი იყო ჩვენთვის ამ ფაბრიკებში დადგმული ჩაის საღნობი მანქანები. სადაც კი ვიყავით ჩაის ფაბრიკებში, ეს შესანიშნავი მანქანები ყველგან გვხვდებოდა და უნაკლოდ მუშაობდა. ყველგან ჩაის მრეწველობაში ჩვენ ვხვდებოდით ახალი ტექნიკის ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობ ნიმუშებს. მაგალითად, ჩვენ პირველად ვნახეთ საბჭოთა ჩაისსაკრეფი მანქანა. განსაცვიფრებელია ის ეფექტი, რომელსაც ეს ორიგინალური მანქანა იძლევა. იგი შესანიშნავად მუშაობს, მაგრამ ჩვენს პირობებში ამ მანქანის გამოყენებას გადაელობება მთელი რიგი სიძნელეები, როგორც არის მთაგორიანი რელიეფი. მომავალში ეს მანქანა უდავოდ უნივერსალური გახდება ყველა პირობებისათვის.

ჩვენ ყველგან ვხვდებოდით ენერგიით სავსე მშვიდობისმოყვარე ხალხს.

ამ მოგზაურობაში ჩვენ ბევრი რამ ახალი გავიგეთ და შევიძინეთ როგორც ჩაის ბუჩქის მოვლის, ისე ჩაის წარმოების ორგანიზაციისა და ტექნიკის დარგში. ჩვენი სურვილია, რომ ის, რაც საბჭოთა საქართველოში ვნახეთ ჩაის მრეწველობის ტექნიკური სრულყოფის თვალსაზრისით, ჩვენშიც განხორციელდეს.

მე მსოფლიოს ბევრი ქვეყანა შემომივლია. მაგრამ ისეთი მწვენიერი ქვეყანა, როგორც საქართველოა, არსად მინახავს. ღამიანად შეხამებულ მთებს და ზღვას. აქაურ დიდებულ ჰაევას საქართველო მსოფლიოს უმწვენიერეს ქვეყნად გაუხდია. ჩვენი დელეგაციის წევრთა სახელით ერთხელ კიდევ მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც საქართველოში ჩვენი ყოფნა ასე სასარგებლო და ასე სასიამოვნო გახადა.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი დახმარება ჩვენ დიდ

სარგებლობას მოგვიტანს, რადგან ცვილონის ბუნებრივი პირობები საქართველოს ბუნებრივ პირობებს ძალიან წააგავს.

ბოლოს მინდა ვთქვა, რომ სხვადასხვა ხალხებს შორის დელეგაციების ასეთი გაცვლა დაეხმარება მშვიდობისა და მეგობრობის დამყარებასა და განმტკიცებას, რაც ასე სწყურია თვითმეულ აღამიანს დედამიწაზე.



საქართველო საბჭოთა კავშირში გამომუშავებული ჩაის პროდუქციის 99 პროცენტს იძლევა. ჩაის კულტურას მისდევს 700-მდე კოლმეურნეობა და 23 საბჭოთა მეურნეობა. ჩაი დასავლეთ საქართველოს გლეხობის შექმნილი და კულტურული ცხოვრების ძირითადი წყაროა.

1921 წელთან შედარებით ჩაის პლანტაციების ფართობი 90-ჯერ გადიდდა. ჩაის ფართობის ზრდასთან ერთად იზრდება ჩაის საშუალო მოსავლიანობა პექტარზე. რესპუბლიკაში საშუალოდ პექტარზე 3000 კილოგრამზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი მოჰყავთ. მთელ რიგ რაიონებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის მოსავლიანობამ პექტარზე 5 და 6 ათას კილოგრამს გადააქარბა. ეს იმ დროს, როცა ჩინეთში და ცვილონზე პექტარზე 2 ათას კილოგრამსაც ვერ იღებენ. ჩაის პლანტაციებში ფართოდ არის გამოყენებული მექანიზაცია. ქართველმა კონსტრუქტორებმა ჩაის საყრდენი მანქანაც შექმნეს. წლითიწლობით იზრდება ჩაბარებული ჩაის რაოდენობა. თუ 1950 წელს რესპუბლიკის მეჩაიეებმა სახელმწიფოს 80 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მისცეს, 1960 წელს 156 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. შვიდწლედის ბოლოს კი 200 ათას ტონა ჩაის მოკრიფენ.

ბედნიერად და შექმნილულად ცხოვრობენ ქართველი მე-

ჩაიე კოლმეურნეები. მათი ყოველწლიური შემოსავალი 50-100 ათას მანეთს აღემატება. დამშვენდა და გალამაზდა ქვემო იმერეთის, გურიის, აჭარის, სამეგრელოს და აფხაზეთის სოფლები. გაჩნდა ახალი კულტურის სასახლეები, მაღაზიები, საავადმყოფოები, ელსადგურები. გაშენდა ახალი გზები, გაიჭრა არხები.

ჩაის კულტურა კოლმეურნეობათა ეკონომიური ძლიერებისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის წყარო გახდა. მრავალმა ქართველმა მეჩაიემ ორსართულიანი კეთილმოწყობილი სახლი აიშენა, საკუთარი მსუბუქი ავტომანქანა „წიმი“, „ვოლგა“, „პობედა“ ან „მოსკვიჩი“ შეიძინა. პიანინო, რადიო, მაცივარი ახლა სოფლებში ფართოდ დამკვიდრდა. საბჭოთა სოფელი დღეს გულს ახარებს.

ბედნიერი ბავშვები

თქვენს ქვეყანაში ყველგან ვხედავდი დიდ სიყვარულს სამშობლოსადმი, შრომისადმი და მშვიდობისადმი. საითაც კი გაიხედავ, ყველგან მშენებლობაა, ყველგან თანამედროვე სტილზე ნაგები მთელი კვარტალებია წამოჭიმული. აღსანიშნავია, რომ ყველა სააღმშენებლო სამუშაოები უახლესი ტექნიკური საშუალებებით სრულდება, თქვენი შენობები აგურით, ტუფის ქვით და ვეება რკინაბეტონის ბლოკებით შენდება. მშენებლობის ასეთი პრაქტიკა ჭერჭერობით ჩვენში გავრცელებული არ არის. საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში ბევრი რამ შეუქმნია ისეთი, რაც საქართველოს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიგში აყენებს.


თქვენი მორალური მხარდაჭერა და ის უდიდესი თანაგრძნობა, რომელსაც ჩვენ ვგრძნობდით ერაცის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დღეებში, დაუვიწყარია და სამუდამოდ დაგვაკავშირებს ერთიმეორესთან.

მე მაყვარს ბავშვები და ამიტომაც მათი ბედნიერების მსურველი ვარ. ის, რაც თბილისში ვნახე, დაუვიწყარი იქნება ჩემს ცხოვრებაში. ეს გახლდათ პიონერთა სასახლე, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. იქ ვნახე ბედნიერი ბავშვები. მათ ყველაფერი აქვთ, რასაც კი მოისურვებენ. ბავშვების აღზრდას პიონერთა სასახლეში დიდი ყურადღება ექცევა. მე ვნახე ქართველი ბავშვების ბედნიერებით გაბრწყინებული თვალები, რომლებითაც შესცქერიან ისინი თავიანთ აღმზრდეებს. მათ ვხვდებით ქუჩებში მხიარულად და სიმღერით მომავალთ. თქვენი ბავშვები იზრდებიან ნამდვილი პატრიოტული სულისკვეთებითა და შრომისად-

მი სიყვარულით, მაღალი ჰუმანიური გრძნობებით და მეგობ-
რული დამოკიდებულების სულისკვეთებით.

ბავშვებთან ერთად მე ვნახე თბილისის ხელოვნურა
ზღვა. იგი ხალხის შრომისადმი სიყვარულისა და დიდი ნე-
ბისყოფის დამადასტურებელია. ეს არის თბილისის მოქალა-
ქეთა დიდი წვლილი ახალი ცხოვრების მშენებლობაში. ჩვენ
ბერნიერნი ვართ ქართველ ხალხთან დაახლოებით.

აბდულ მაჯით ჰასანი,
ერაყის დედაქალაქის ბაღდადის მერი.



სურათზე: ქალაქ ბაღდადის მერი აბდულ მაჯით ჰასანი
თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

საბჭოთა ქაღი ბედნიერია

ჩემი მოგზაურობისას საქართველოში მე გავეცანი ქაღი-ბის და ბავშვების მდგომარეობას საბჭოთა ქვეყანაში. გულახ-დილად უნდა მოგახსენოთ, რომ ქაღები და ბავშვები ფინეთ-ში გაცილებით უარეს მდგომარეობაში არიან. ფინელი ქა-ღები მამაკაცებთან შედარებით ნაკლებ ხელფასს იღებენ. ისინი ჩვენში ხომ დამხმარე სამუშაოებს ასრულებენ. ჩვენ საბჭოთა კავშირში ენახეთ მამაკაცებისა და ქა-ღების სრულ თანასწორუფლებიანობა. ქართველ მე-ფოლაღეთა ქალაქის რუსთავის დათვალიერების დრო-საც დავრწმუნდი, რომ თქვენში ყველას აქვს სამუშაო-ბა დაისვენოს. მშობლების მუშაობის დროს ბავშვებს მომ-მვლელები ჰყავთ საბავშვო ბაგებსა და ბაღებში. ჩვენში მუ-შათა ბავშვები მეტწილად უპატრონოდ რჩებიან სახლებში. რასაკვირველია, ჩვენ გულხელდაკრეფილნი არ ვუყურებთ ამ მდგომარეობას. განვაგრძობთ ბრძოლას და ამ ბრძოლაში თქვენი მაგალითი დიდი სტიმულის მომცემი ძალაა.

ლიიზა ბილი.

ფინელი საზოგადო მოღვაწე.



ვამბობ იმას, რასაც გულწრფელად ვფიქრობ

ორი დღე გაატარა თბილისში ცნობილმა ამერიკელმა სა-
ზოგადო მოღვაწე-ქალმა, ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობ-
რობის საზოგადოების ნაციონალური კომიტეტის წევრმა
ელისაბედ მუსტმა. ელისაბედ მუსტი ნიუ-იორკის ერთ-ერთი
სკოლის დირექტორია. მან დაათვალიერა თბილისი, ინახულა
საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა, იყო დიდმის
შევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, ინახულა მრავალი სა-
ბავშვო ბაღი და თითქმის ნახევარი დღე გაატარა თბილისის
შპე საშუალო სკოლაში; რუსთაველის სახელობის თეატრში
დაესწრო სპექტაკლს — „ესპანელი მღვდელი“. აი რა თქვა
მან თბილისიდან გამგზავრების წინ:

ბუნდნიერება მაქვს გელაპარაკოთ იმაზე, რასაც გულწრფე-
ლად ვფიქრობ თქვენს მშვენიერ ქალაქზე. მე აქ მხოლოდ
ორი დღე დავყავი, მაგრამ მეორედ რომ ჩამოვალ საბჭოთა
კავშირში, ვფიქრობ უფრო მეტ დროს დავრჩები საქართვე-
ლოში.


ამ ქალაქის სილამაზე მარტო მისი მშვენიერი ბუნებითა და
მთებით როდი განასახლვრება. ამ მშვენიერი ბუნებისა და
მდიდარი სტილის ქართული არქიტექტურის ერთიანი ანსამბ-
ლი ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომელსაც იმ დასკვნამდე
მიყვევართ, რომ მსოფლიოში ჩემ მიერ ნახული ქალაქებიდან
თბილისი ერთ-ერთი უმშვენიერესი ქალაქია.

პროფესიით მასწავლებელი ვარ. ამიტომ მეტი დრო სკო-
ლაში გავატარე; ბავშვებთან ყოფნა, მათთან მუშაობა მე
ყველაფერზე მეტად მიტაცებს.

რამაც ყველაზე უფრო დამაინტერესა, ეს გახლდათ დიდი შემოქმედებითი მუშაობა, რომელსაც ბავშვები ეწევიან თქვენს სკოლებში. ბავშვები იზრდებიან შრომისადმი სიყვარულის და კაცთმოყვარეობის სულისკვეთებით. საბჭოთა სკოლა უვითარებს ბავშვებს პირად ინიციატივას და აღრიდანვე უნერგავს მათ პრაქტიკულ ჩვევებს.

ფრიად შესანიშნავია თქვენი პიონერთა სასახლე. სადაც არ ვიყავი, დავრწმუნდი, რომ რაც საუკეთესოა თქვენს ქვეყანაში, ეს ბავშვებისათვის არის განკუთვნილი. ბავშვთა სასახლეებში შექმნილია ყველა პირობა მათი აღზრდა-გართობისათვის. მე ვფიქრობ, რომ საბჭოთა კავშირში ბავშვები უფრო მეტი აქტივობით არიან ჩაბმულნი შემოქმედებით შრომაში, ვიდრე ამერიკელი ბავშვები შეერთებულ შტატებში.

დასასრულ მინდა მოგახსენოთ, რომ კიდევ ბევრი ამერიკელი ინახულებს თქვენს მშვენიერ ქალაქს, მის სამეურნეო, საზოგადოებრივ და სასწავლო დაწესებულებებს. ასეთი ვიზიტები ზელს შეუწყობს ჩვენს ურთიერთგაგებას და მეგობრობას, ეს განამტკიცებს მშვიდობას, რომლისკენაც ჩვენ ყველანი ერთ-ულოვნად მივისწრაფვით.



დამაზი ქაღაჭი, უდამაზესი ქაღები

მრავალ უცხოელ სტუმართა შორის თბილისის ქუჩებში შეხვდებოდით ამერიკის ქალაქ კლივლენდის მცხოვრებ ბ-ნ **ბრაუნს** თავისი მეუღლით. ისინი საკუთარი კინოაპარატით მოგზაურობდნენ ჩვენს ქვეყანაში. ბრაუნი საკმაოდ შეძლებული კაცია ამერიკაში. მას საკუთარი საამშენებლო კომპანია აქვს. მოდით შევხედოთ ჩვენს ქვეყანას ამერიკელი მილიონერის თვალით.

აი რა თქვა მან:


პირველ რიგში ჩემი ყურადღება მიიპყრო საბჭოთა სკოლებმა, ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა იმ გარემოებამ, რომ საბჭოთა კავშირში სკოლებში არა მარტო ასწავლიან ამა თუ იმ საგანს, აქ ზრდიან მოქალაქეს, ადრინდანვე უვითარებენ ბავშვს ხასიათის ყველა მხარეს, პირველი საფეხურიდანვე ბავშვი იწყებს უცხო ენის შესწავლას.

მე წარმოდგენა არა მქონდა, თუ თბილისი ასეთი ლამაზი და თანამედროვე ქალაქი იყო, ახლა კი დავრწმუნდი ამაში. ჩვენზე შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო თანამედროვე შენობებმა, ბაღებმა, პარკებმა და სკვერებმა, არამედ, რაც მთავარია, ადამიანებმა, რომლებიც ესოდენ ბედნიერები და მხიარული არიან. მე ვფიქრობ, რომ ქალები თბილისში ულამაზესნი არიან ჩემ მიერ ნახულ ქალებთან შედარებით.

საუბარში ქ-ნი ბრაუნი ერევა, იგი ამბობს:

მე სავსებით ვეთანხმები ჩემს მეუღლეს, მე მხოლოდ მიინდა აღვნიშნო, რომ, როდესაც ვუყურებ ამ შესანიშნავად ილუმინირებულ ქალაქს, იგრძნობა სითბო და ის ზრუნვა,

რომელიც ხალხს გამოუჩენია სამშობლო ქალაქის გაფორმე-
ბაში. ყველაზე უფრო დამაჭერებელი ილუსტრაცია ჩვენი
შთაბეჭდილებისა გახლავან თბილისის მცხოვრებნი, რომელთა
სახეები მუდამ გაბრწყინებულია ბედნიერებით. ერთი საინ-
ტერესო დეტალი: ხალხით სავსე ქუჩებში ერთიც არ შემი-
ნიშნავს წესრიგის დამრღვევი. ეს უდაოდ მოწმობს ქართვე-
ლი ხალხის დიდ კულტურას. მე ვეთანხმები ჩემს მეუღლეს,
რომ თბილისში მშვენიერი ქალები არიან. მაგრამ მათ მაშაკ-
ცებიც არ ჩამოუვარდებიან. რა შესანიშნავია ქართული სამ-
ზარეულო, ქართული ყველი, ღვინო და შამპანური. მე მიშაჩ-
ნია, რომ ყველაფერი ეს საუკეთესოა. ქართველ ხალხს ვუ-
სურვებ ბედნიერებას, მშვიდობას და სიხარულს.



მხატვრობის, ხელოვნების, სიღამაზის ქვეყანა

ყველგან, სადაც მომიხდა ყოფნა საქართველოში ვგრძნობდი ქართველი ხალხის ზრუნვას და ყურადღებას. აბა, როგორ დამავიწყდება ის ქართველი ბავშვები, რომლებიც მე-ხმარებოდნენ, მიორჩევდნენ უფრო ლამაზ ადგილებს, მე მიეყვებოდნენ, ვაკვირდებოდი და ზოგჯერ მანცვიფრებდა მათი გემოვნება, ეს იმას მოწმობს, რომ მე ვარ სიღამაზის, მშვენიერების და ბედნიერების მხარეში. ქართველი ხალხის თავაზიანობა ამ დიდებული გემოვნების დაგვირგვინებდა. ყველაფერი და ყველგან თქვენი ხალხის დიდ კულტურაზე ლაპარაკობს.

მე ბევრი ჩანახატი გავაკეთე. ეს მხოლოდ მასალაა იმ დიდი ტილოებისათვის, რომლებიც მე მინდა შეექმნა საქართველოზე. ეს ჩემი განზრახვაა, და შევძლებ თუ ვერა სინამდვილეში გადავიტანო ტილოზე ქართველი ხალხის სულიერი სიღამაზე და მისი ბუნების მშვენიება, ამას მომავალი დაგვანახებებს.

ჩემი გულითადი სალაში დიდებულ ქართველ მხატვრებს, რომელთა შემოქმედებამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე თავისი უბადლო ოსტატობით, მრავალფეროვნებით, თემატიკის სიმდიდრით. მე კიდევ დავბრუნდები საქართველოში, რომ უფრო ღრმად შევისწავლო ქართველი მხატვრების მაღალი ხელოვნება, რათა კიდევ უფრო დავუმეგობრდე ქართველ ხალხს.

ვალტერ ღენეკი,
გერმანელი მხატვარი.



ხელოვანი ხალხი

ჩვენ, ამერიკელმა მხატვრებმა, პირველი ნაბიჯი გადავდგით და გეწვიეთ საბჭოთა კავშირში. თქვენ მოგვაჯადოეთ ხალასი ნიჭით, შრომისმოყვარეობითა და სტუმართმოყვარეობით. ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამბავია. ჩვენ უფრო დავმეგობრდებით.

ჩვენი მოგზაურობიდან ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე თბილისის ხელოვნების მუზეუმმა და აქ გამოფენილმა ქართული ხატების მდიდარმა კოლექციამ. ეს მსოფლიო ხელოვნების შედეგებია. ქართველ ხალხს ისინი საუკუნეებში გამოუტარებია და ახლა სათუთად იცავენ. ამ მუზეუმში ყველაფერს გამრჯე და დიდი გემოვნების მქონე აღამიანების ხელი ეტყობა.

ფრანკლინ უოტკინსი და ლამარ დოდი,


ამერიკელი მხატვრები.

* * *

არა ერთი და ორი სტუმარი მოსულა აღტაცებაში საქართველოს ხელოვნების მუზეუმში სათუთად დაცული ხატების კოლექციით. რომელი კუთხის ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმარს არ შეხვდებით აქ.

ეს კოლექცია საქართველოდან 1921 წელს მენშევიკების მიერ გატაცებული სახალხო ქონებიდან არის გადარჩენილი. აღსრულდა ყოველი ქართველი პატრიოტის, ყოველი ჩვენი თანამემამულის ოცნება. საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებუ-

ლი ენერგიული ზომების შედეგად საქართველოს ისტორიული ქონება სამშობლოს დაუბრუნდა. ქართველი ხალხი თვალისჩინივით უფრთხილდება ხელოვნების მუზეუმში გამოფენილ ხატებს, სამკაულებს, სურათებს, ყველაფერს, რაც ასე ძვირფასია ყოველი ქართველისათვის. ხახულის ღვთისმშობელს აღფრთოვანებაში მოჰყავს მნახველები. ჩინებულად არის დაცული ქართველ მეფეთა და მხედართმთავართა მდიდარი მორთულობა. ზოგიერთებს კი უცხოეთში, რომელთაც სული ეშმაკებისათვის მიუყიდნიათ, არსებობის ცხოველური ინსტინქტით დაბრმავებულებს, არ უნდათ გაუსწორონ თვალი ქემმარიტებას. ლაყბობენ, თითქოს საქართველოს ისტორიული ქონება ბოლშევიკებმა დიდი ხანია გააქრეს... ქართველი ხალხი გულწრფელი მადლობის გრძნობით იგონებს მხცოვან ქართველ მეცნიერს ექვთიმე თაყაიშვილს, რომელიც შორს სამშობლოდან წლების განმავლობაში თავგამოდებით იცავდა ჩვენი ერის ისტორიულ საგანძურს განიავებისაგან. განა ცოტა გაანიავეს და შექამეს მენშევიკური რეჟიმის მესვეურებმა?!. ეროვნული სიმდიდრის 240 ყუთიდან გადარჩენილია მხოლოდ 49... საბედნიეროდ სამშობლოს დაუბრუნდა ამ ქონების ისტორიული ნაწილი. იგი 1930 წლიდან ფრანგების განქარგულებაში იყო. საბჭოთა მთავრობის ენერგიულმა ჩარევამ 1945 წელს შესაძლებელი გახადა ამ ქონების სამშობლოში დაბრუნება.



დაპარაკობენ ეგვიპტელი ფეიქრები

თბილისში ეგვიპტელ ფეიქართა დელეგაციამ სამი დღე დაპყრო. ამ ხნის განმავლობაში სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქი თავისი ღირსშესანიშნაობებით, ინახულეს ქალაქის პირველი საშუალო სკოლა, სადაც რამდენიმე საათი გაატარეს მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან, დიდი კმაყოფილებით გატყნენ სკოლასთან არსებულ სასწავლო კაბინეტებს და ლაბორატორიებს. თითქმის მთელი დღე გაატარეს თბილისის საქსოვასატრიკოტაეო კომბინატში. დიდხანს ათვალიერებდნენ კომბინატის საამქროებს და ეცნობოდნენ წარმოების ტექნოკას, უსაუბრებოდნენ მუშებს. სტუმრებმა ინახულეს კომბინატის მუშათა საცხოვრებელი სახლები, სადამოს სანატორიუმში. კულტურის სახლი, ფიზკულტურის დარბაზი და მრავალი სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებზე გამგზავრების წინა დღეს ეგვიპტელი სტუმრები გორს ეწვივნენ. იქ დაათვალიერეს სტალინის სახლი-მუზეუმი, სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობა. ხიდისთავში სტუმრები გაეცნენ კოლმეურნეობის მუშაობას, ნახეს რთველი და იყვნენ ხიდისთაველ კოლმეურნეთა ოჯახებში.

მიღებულ შთაბეჭდილებებზე მოგვიტხრობს ეგვიპტის ფეიქართა პროფკავშირის გენერალური მდივანი აბდელ მონემ ათეა:

ბევრი რამ კარგი გაგვეგონა საბჭოთა ქვეყნაზე, მაგრამ საკუთარი თვალთ ნახულმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ჩვენც, როგორც ფეიქრებს, პირველ რიგში ვკვირდებოდ-

და-საბჭოთა ქვეყნის საფეიქრო მრეწველობა და ამ დარგში მომუშავეთა ცხოვრების პირობების გაცნობა. ჩვენ შეგვიძლია ამ მხრივ ბევრი რამ კარგი ვუამბოთ ჩვენს ევვიპტელ თანამემულეებს. მაგალითისათვის საკმარისია მოვახსენოთ იმ უდიდეს შთაბეჭდილებაზე, რომელიც ჩვენზე მოახდინა საბჭოთა საქართველოს სართავ-სატრიკოტაეო კომბინატის დავალიერებამ. აქ წარმოების პროცესების ორგანიზაციასთან ერთად ჩვენ გავეცანით უახლეს ტექნიკას, რომლითაც ასე მდიდრად არის აღჭურვილი თბილისის კომბინატი. ვნახეთ დაზგები და მათთან მომუშავე ადამიანები, რომლებმაც საქმის ცოდნის და თავგამოდებული შრომის დაუფიწყარი მაგალითები გვიჩვენეს. ვნახეთ, თუ როგორ ცხოვრობენ მუშები და მათი ოჯახის წევრები, ვნახეთ საბავშვო ღამის სანატორიუმები, სასპორტო დარბაზები, ის, რაც მოწმობს ადამიანზე დიდ ზრუნვას.

საქართველოში ჩამოსვლის პირველივე დღიდან სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა ჩვენი შთაბეჭდილებები. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ქართულმა სკოლამ, სადაც ჩვენ რამდენიმე საათი დავეყავით. წინათ აქ ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს უსწავლიათ. აქ ბავშვებს ჰუმანიზმის და კეთილშობილების სულისკვეთებით ზრდიან. აღბათ დიდხანს არ გამოვა ჩვენი შესხიერებიდან მშვენიერი საქართველოს სილამაზითა და თაიგულივით მიმზიდველი ბავშვების კრებული. რა შესანიშნავია სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები, სამეცადინო დარბაზები, რა დიდი კულტურის ადამიანები არიან პედაგოგები. ასეთი სკოლიდან, უდავოა, სრულყოფილი მოქალაქე გამოვა.

თბილისი. ეს ქალაქი ჩვენთვის მშობლიური სითბოთია აღსავსე. მისი გარეგნობა, მისი ხალხი, აქაური ჰავა, საერთო ხედი და ბუნება უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ჩვენს საკეთარ სამშობლოში ვიყავით. ჩვენ ვიყავით გორში. ბედნიერად ვთვლიათ თავს, რომ ვნახეთ ის ადგილი, ის სახლი, სადაც ჩვე-

ნი ეპოქის გამოჩენილი ადამიანი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი დაიბადა და აღიზარდა. ჩვენ ვნახეთ ქართული სოფელი ხიდისთავი, საკუთარი ხელით დაკრეფილი ქართული ვაზის ნაყოფით დავტკბით, ვიგემეთ ქართველ კოლმეურნეთა შასპინძლობა, გავეცანით საკოლმეურნეო ცხოვრებას. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება თქვენი სოფლის მეურნეობის წინსვლის დიდი ძალა და სტიმულია.



გმირული წარსულის ხაღხი

ბედნიერი ვარ, რომ მოეხვდი საბჭოთა საქართველოს თავისუფლებისმოყვარე, გმირული წარსულის მქონე ხალხის დედაქალაქში. ყოველი ძეგლი, ყოველი სახლი, ყოველი მთა და მოედანი თქვენს დიდ სულიერ და მატერიალურ კულტურას მოწმობს. ყაზბეგივით მაღალია თქვენი ბუნება, თქვენი ველ-მინდვრებივით მდიდარი და მრავალფეროვანია ქართველი ხალხის შემოქმედებითი ცხოვრება. მე იუგოსლაველი ვარ და ბევრი რამ საერთო ვნახე ჩვენს ქვეყნებს შორის. სულით და გულით ვუწუროვებ თბილისის მცხოვრებლებს მრავალ ახალ წარმატებას.

მივობ სტეპანიძე,

იუგოსლავიელი ჟურნალისტი.



განცვიფრებული დავრჩი

ქალაქი თბილისი მეტად საინტერესოა ისტორიული თვალ-
 საზრისით. ქართველი ხალხი გამოირჩევა თავისი სითბოთი და
 გულწრფელობით. თბილისში მე ვნახე ბევრი რამ საინტერესო,
 განსაკუთრებით მომაჯადოვა თქვენი ქალაქის სილამაზემ,
 რომელიც ვიხილე დავითის მთიდან. რამდენი ისტორიული
 ძეგლია ქალაქში. ყველაფერი ეს მშვენიერი და დაუვიწყარია.
 ამავე დროს თბილისი ახალია თავისი გარეგნობით, თავისი
 სულისტკმით, თავისი კულტურით. განსაკუთრებით მინდა გა-
 დმოგცეთ ჩემი დიდი აღფრთოვანება, რომელიც განვიცადე
 თქვენს უნივერსიტეტში. მე განცვიფრებული დავრჩი უნივერსი-
 ტეტის პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების გა-
 ნათლებლისა და კულტურის მაღალი დონით. მინდა, რომ ამ
 მშვენიერი ქალაქის მცხოვრებნი ჩვენი სტუმრები იყვნენ და
 ჩვენც ხშირად გვქონდეს ბედნიერება ვიხილოთ თქვენი დი-
 დებული ქალაქის მშვენება.

ჯეიმს ბაღინაბონი,

ამერიკელი პროფესორი.



საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში სასწაულები მოუხდენია

ის კვშმარიტად მეცნიერული ატმოსფერო, რომელშიც ჩვენ მოვხვდით თბილისის უმაღლესი სასწავლებლების და-თვალეირების დროს, ის დიდი კულტურა, რომელიც ჩვენ ქართველ მეცნიერთა საზოგადოებაში ვნახეთ, და ღრმა ცოდ-ნით აღჭურვილი ახალგაზრდობა თქვენი ქვეყნის უდიდეს წარმატებებზე მტყველებს. საბჭოთა ხელისუფლებას საქარ-თველოში სასწაულები მოუხდენია.

იოშავ სიგაბი,

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის
კულტურის მინისტრის მოადგილე.

* * *


მე, როგორც ქიმიკოსი-ინჟინერი, უწინარეს ყოვლისა და-ვინტერესდი უმაღლესი პოლიტექნიკური განათლებით. ამ მხრივ ჩემთვის დადად საინტერესო აღმოჩნდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვულ ლაბორატორიებში შეიძლება სტუდენტ-მა წარმატებით ისწავლოს. თანაც ეს ფიზიკური, ქიმიური, გეოლოგიური ფაკულტეტების ლაბორატორიები მეცნიერული მუშაობის შესანიშნავი ბაზაა.

სწავლების მეთოდებში, ახალგაზრდა სპეციალისტების თეორიულ და პრაქტიკულ გამოწრთობაში ბევრი რამ ძვირ-ფასია, რასაც ჩვენ დიდი ხალისით გადავიღებთ. ეს დიდ სარ-

გებლობას მოგვიტანს. ამიტომ უეჭველია, ეს ჩვენი მოგზა-
ურობა დად შედეგებს გამოიღებს ჩვენი უმაღლესი ტექნიკუ-
რი სასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

პარლ აკოლინსკი,


პროფესორი, უნგრეთის მძიმე და ქიმიური
მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი.



ახლობელი, საყვარელი...

ბედნიერი ვართ, საბჭოთა კავშირში რომ ჩამოვედით. ეს
ქვეყანა მეტად ახლობელი და საყვარელია ჩვენთვის. ყველა
თავისუფლებისმოყვარე არაბისათვის. მეგობრობის გრძნობა
თანდათან ძლიერდებოდა იმასთან დაკავშირებით, რაც უფრო
მეტად ემოგზაურობდით საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა რეს-
პუბლიკაში. ჩვენ ნამდვილად მოვიხიბლეთ თქვენს შესანიშნავ
რესპუბლიკაში ყოფნისას. აქ შეგხვდით ქართული უნივერსი-
ტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, მათ შორის ისეთებსაც,
რომლებმაც იციან არაბული ენა, სწავლობენ არაბულ ლიტე-
რატურას და მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვთ ამ დარგში.

დოქტორი ახმად ბაღავი,
(არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა)



გამარჯვებული სოციალიზმის სხივებქვეშ აყვავებული მხარე


ჩვენ ვნახეთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და ჩვენი თვლით დავრწმუნდით იმაში, თუ რადიდ ეკონომიურ და კულტურულ პროგრესს მიაღწია ქართველმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. ჩვენ დაუვახლოვდით ქართველებს, რომელთაც მხოლოდ შორიდან ვიცნობდით, დავრწმუნდით, რომ აქ გულწრფელად უყვართ არაბები, უყვართ და პატივს სცემენ ერაყის ხალხს, თანაგვიგობნობდნენ და მორალურ მხარდაჭერას გვიწვედნენ ერაყის ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

გტოვებთ და მივდივართ მშვენიერი მოგონებებით ზღაპრებში გაგონილ და წიგნში წაკითხულ ქვეყანაზე, რომელიც საკუთარი თვლით ვიხილეთ და წრფელი გულით შევიყვარეთ.

ჩვენს მეხსიერებაში იგი დარჩება როგორც გამარჯვებული სოციალიზმის სხივებქვეშ აყვავებული მხარე. ჩვენ გადავცემთ ერაყელ ხალხს, როგორც ქურთებს, ისე არაბებს, თქვენი შესანიშნავი რესპუბლიკის ამბებს, თქვენს გულთბილ მიღებას და სიყვარულს.

პაჟი იუსუფი,

ერაყელი საზოგადო მოღვაწე.




საბჭოთა ხალხს მშვიდობა სურს

საკუთარი თვლით ხილვა დარწმუნებას ნიშნავს. ახლა ყოველი ექვი გამოქრა. მე თვითონ დავრწმუნდი, რომ საბჭოთა ხალხს მშვიდობა სურს. მხოლოდ მშვიდობის პირობებში შეუძლიათ საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს განახორციელონ თავიანთი გრანდიოზული სამშვიდობო გეგმები. ჩვენ ყველგან გვხვდებიან როგორც უახლოეს მეგობრებს. ერთმანეთის ენა რომ არ ვიცით, ეს ხელს ვერ გვიშლის გავუგოთ ერთმანეთს, რადგან მიზანი ერთი გვაქვს — დავიცვათ მშვიდობა... მე მწამს, რომ ყველა ქვეყნის მშრომელები ყურს დაუგდებენ საბჭოთა ადამიანების მოწოდებას და მტკიცედ დაიცავენ მშვიდობას, რაც ესოდენ აუცილებელია ყველა ხალხისათვის.

ვილიამ სპილინგი,

ინგლისის პროფკავშირული დელეგაციის წევრი.




მეგობრობა, თანამშრომლობა

საქართველოში ჩვენ გავიცანით ადამიანები, რომლებსაც ვესაუბრეთ ჩვენს კულტურაზე, ისტორიაზე, ლიტერატურაზე. გვიხარია, რომ შევხვდით არაბოლოგ მეცნიერებს, არაბულ ენაზე მოსაუბრე პროფესორებს და სტუდენტებს. ვგრძნობდით, რომ ადამიანებმა იციან ჩვენი ხალხის წარსული, აწმყო, მათთვის საინტერესო და ძვირფასია ჩვენი ბრძოლა თავისუფლებისათვის, ნათელი მომავლისათვის. ამიტომ საბჭოთა ხალხს, ქართველ ხალხს, ყველა იმ ადამიანს, იმ მეცნიერს, განათლებულს იმ მუშაკს, რომელიც იბრძვის მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრული თანამშრომლობისათვის, ჩვენი ბავშვების უღრუბლო მომავლისათვის, ყოველივე კარგს ვუსურვებთ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხთა სახელით.

ახმად ალი ფუბაი.

განათლების მინისტრის მოადგილე
სირიის რაიონში.



ფეხბურთი აახლოებს მსოფლიოს ხალხებს

პარიზის „რესინგის“ ფეხბურთელებთან თბილისის დინამოელების შეხვედრა თბილისელ მაყურებელთა მესხიერებაში დარჩება როგორც მაღალი სპორტული ოსტატობისა და დამატებული ბრძოლის საუკეთესო ნიმუში. ჩვენი სტუმრები მართო ფეხბურთით როდი იყვნენ დაინტერესებულნი. იმ სამი დღის განმავლობაში, რომლებიც მათ თბილისში გაატარეს, ფრანგ ფეხბურთელებს შეხვდებოდით ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებში — გორში სტალინის სახელობის სახლ-მუზეუმში, ქართულ სოფლებში, კოლმეურნეობებში, სასპორტო მოედნებზე და სხვადასხვა შეჯიბრებაზე, თბილისის ზღვაზე და ყველგან, სადაც კი მოისურვეს. მათთვის ყველგან ღია იყო სტუმართმოყვარე ქართველი მასპინძლების სახლის კარი.

დადგა გამგზავრების დროც; ფრანგი სტუმრები სინანულს გამოთქვამდნენ, რომ მეტხანს ვერ რჩებიან საქართველოში. გამგზავრების წინ აი რა თქვა „რესინგის“ გენერალურმა დარექტორმა:

დაუვიწყარია თქვენი სტუმართმოყვარეობა. აქ ფრანგები ყველას უყვარს. მე საშუალება მომეცა ვყოფილიყავი გორში და იქ მენახა სტალინის სახლი, სადაც იგი დაიბადა და აღიზარდა. იქვე ვინახულეთ ქართული სოფელი, რომელიც საუკეთესოდ არის კეთილმოწყობილი და სოფლის მეურნეობის ყოველი დარგიც შესანიშნავად არის განვითარებული. თბილისი ხომ თანამედროვე ულამაზესი ქალაქია.

მოკლედ ასეთია ჩემი საერთო შთაბეჭდილება. ახლა მინდა გესაუბროთ ფეხბურთზე. ეს არის ჩემი ძირითადი პროფესია და ეს არის ჩვენი სტუმრობის მიზეზი საქართველოში.


უკანასკნელი მატჩი, რომელიც ჩვენ ჩავატარეთ თბილისში, ეს იყო ყველაზე უძნელესი მოსკოვსა და ლენინგრადში

ჩატარებული თამაშების შემდეგ, მე არ შემიძლია იმის მტკიცება, რომ თბილისის „დინამო“ ყველაზე ძლიერი გუნდია საბჭოთა კავშირში, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ მოგვიხდა ბრძოლა მეტად ღინამიურ, სიცოცხლით სავსე, საბრძოლო სულისკვეთებით გამსჭვალულ კოლექტივთან. მართალია, ჩემთვის, მთავარი იყო ჩემი გუნდის გამარჯვება, მაგრამ საბედნიეროდ მე არ მიღალატა სამართლიანობისა და ობიექტურობის გრძნობამ და მთელი ორი ტაიმის განმავლობაში დაფარული აღფრთოვანებით შევცქეროდი ქართველ ფეხბურთელთა თავგამოდებულ ბრძოლას გამარჯვებისათვის. მართლაც ეს ძალზე მძიმე მატჩი იყო ჩვენი გუნდისათვის და მე სავსებით გულწრფელად ვაცხადებ, რომ 2:2, ეს იყო საუკეთესო შედეგი ჩვენი გუნდისათვის. მე ვუყურებდი არა მარტო თამაშს, არამედ ვგრძნობდი იმ დიდ 30-ათასიან აუდიტორიასაც, რომელმაც შეავსო სტადიონი. 100 ათასი ადგილიც რომ ყოფილიყო, ალბათ ასევე სავსე იქნებოდა. ქართველებს უყვართ და ესმით ფეხბურთი. ჩვენს მიმართ ინტერესი გააძლიერა მოსკოვსა და ლენინგრადში მოპოვებულმა წარმატებებმა. ეს იყო კარგი რეკლამა თბილისელი მომთხოვნი მაყურებლის წინაშე. მე ვფიქრობ მაყურებლის ინტერესი ჩვენ საერთოდ დავაკმაყოფილეთ. მაგრამ თბილისის საზოგადოება ჩვენი თამაშის დონეზე ბევრად უფრო მაღლა დგას.

საფრანგეთში წასვლის წინ მინდა განვაცხადო, რომ ფეხბურთი გზა და ზიდა, რომელიც აახლოებს მსოფლიოს ხალხებს. რაც უფრო ხშირად ჩამოვლენ საბჭოთა ფეხბურთელები ჩვენთან და ფრანგი ფეხბურთელები თქვენთან, მით უფრო განმტკიცდება კონტაქტები და ეს კიდევ უფრო დაგვაახლოებს ერთიმეორესთან, შეგვაყვარებს ერთიმეორეს და ბოლოს მივალთ იმ მდგომარეობამდე, რომ ქვეყნად ომი და უბედურება შეუძლებელი გახდება.

მარსელ გალე,

პარიზის „რესინგის“ გენერალური დირექტორი.





თბილისი. ქალაქის მთავარი სტადიონი. საფრანგეთის უძლიერესი გუნდი „რეისი“ თბილისის „დინამოს“ გუნდთან ასპარეზობის წინ. როგორც ცნობილია, ეს შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 5 : 2.

ზრუნვა ადამიანის ჯანმრთელობისათვის

ჩვენ გვაინტერესებდა საბჭოთა ხალხის ცხოვრება და სამედიცინო საქმის მდგომარეობა საბჭოთა კავშირში. მე შემძღვია დიდი კმაყოფილებით განვაცხადო, რომ ჩვენ მოგვეცა განუსაზღვრელი შესაძლებლობა გვენახა ყველაფერი, რაც მოვისურვეთ, საბჭოთა ქვეყანაში მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილება დაუვიწყარია. ნახულმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენ განცვიფრებული ვართ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მასშტაბებით მედიცინის დარგში.

საქართველოზე ჩვენ ცოტა რამ ვიცოდით. დღეს უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველოთი მოხიბლული ვართ. ჩვენ პირველად მოგვიხდა კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ყოფნა და ჩვენი თვალით დავრწმუნდით საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობაში. საქართველოს ინდუსტრიულ სიმძლავრეს მოწმობს დიდებული ქალაქი რუსთავი. ახლა მოგახსენებთ ჩვენს შთაბეჭდილებებზე მედიცინის დარგში. ქართველი ექიმები დიდი ცოდნითა და დაკვირვებით სრულყოფილად იყენებენ საბჭოთა ქვეყანაში შექმნილ მდიდარ სამეცნიერო-ტექნიკურ შესაძლებლობებს. ყველგან, სამშობიარო სახლებსა თუ პოლიკლინიკებში, ინსტიტუტებსა თუ ლაბორატორიებში, ჩვენ ვნახეთ სამედიცინო საქმის უდიდესი კულტურა, ეს კი ხალხზე დიდ ზრუნვას მოწმობს. საბჭოთა

ადამიანების ჯანმრთელობისათვის ზრუნვას დამაჯერებლად მოწმობს ის ფაქტიც, რომ საბჭოთა კავშირს მოსახლეობის სამედიცინო კადრებით უზრუნველყოფის დარგში მსოფლიო-ში პირველი ადგილი უჭირავს.


ოსკარ მაროტოლი,
არგენტინელი პროფესორი.

* * *

საქართველოში რევოლუციამდე 41 სამკურნალო დაწესებულება იყო. ახლა კი 660-ზე მეტი საავადმყოფო ემსახურება მოსახლეობას, რევოლუციამდე 65 პოლიკლინიკა და საექიმო პუნქტი იყო, ახლა კი 1,370-ზე მეტი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილი პოლიკლინიკა, 960-ზე მეტი საფერშლო და ამბულატორიული დახმარების პუნქტი ემსახურება ხალხს.

თუ რევოლუციამდელ საქართველოში 9 ათას კაცზე ერთი ექიმი მოდიოდა, ახლა 1 ექიმი მოდის 300 სულზე, ამ მხრივ საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. ყოველწლიურად ნახევარ მილიარდზე მეტი იხარჯება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე.

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა მასობრივად გატარების შედეგად საგრძნობლად შემცირდა სიკვდილიანობა. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ 60 წელს გადააჭარბა. მოისპო მაღარია და სხვა ინფექციური დაავადებანი.





აფხაზეთი. დასასვენებელი სახლი „ოქროს ნაირი“ შვედძირხეში.

სასწაულთმოქმედი კურორტები

მომხიბლა საქართველოს კურორტების სილამაზემ. ძნელა ასწერო შათი სამკურნალო ღირსებანი. ბედნიერება მქონდა ვყოფილიყავი წყალტუბოში და შავი ზღვის სანაპიროზე. წყალტუბოს მსოფლიოში კურორტი არ შეედრება; მე ვნახე, წინათ დავრდომილნი რომ დარბოდნენ და ცეკვავდნენ, პირდაპირ სასწაულთმოქმედი ძალა აქვს წყალტუბოს რადიაქტიურ წყაროებს. საბჭოთა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება მრავალ შესანიშნავად კეთილმოწყობილ დასასვენებელ სახლსა და სანატორიუმში ათეულ ათასობით მშრომელნი იკავებენ ჭანმრთელობას.


ირაჟი ტომაშვილი,

ჩეხი ჟურნალისტი.

* * *

მსოფლიოში ცნობილია საქართველოს კურორტები. რევოლუციამდე საქართველოში თითოთროლა კურორტი თუ იყო, ისიც კერძო მფლობელთა დასასვენებელ ადგილს წარმოადგენდა. დღეს 130-ზე მეტი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლია, კურორტების კეთილმოწყობაზე ასეულ მილიონობით მანეთი იხარჯება ყოველწლიურად. მარტო ამ უკანასკნელ წლებში ბორჯომში აშენდა ხუთი სანატორიუმი, დიდი მშენებლობაა გაშლილი წყალტუბოში, ზედიზედ ღებებიან მწყობრში ახალი სანატორიუმები, რომლებშიც იმკურნალებს

მ ათასზე მეტი ავადმყოფი. შავი ზღვის სანაპიროზე შექმნი-
ლია მთელი ქალაქი — კურორტები, სადაც ჩვენი ქვეყნის
ასეულ ათასობით მშრომელი იკაუებს ჯანმრთელობას. დიდი
მომავალი აქვს ახლად შექმნილ საკურორტო ადგილებს და-
რიალს, ნუნისს, ახტალას, ლებარდეს, თორღვას აბანოს, ლუ-
გელას, სკურს, ახალ ათონს, გულრიფშს, ჯავას, ბიჭვინთას და
სხვ.



სურათზე: წყალტუბო — მეტალურგთა სანატორიუმი.


გაუმარჯოს მზიურ საქართველოს!

მე მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა გავცნობოდი ქართულ კულტურას, მის ხელოვნებას და განსაკუთრებით მუსიკას. ასევე ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ შევძლებ და თქვენს სიყვარულს დავიმსახურებ. მე მიაშობდნენ ქართველებზე როგორც სტუმართმოყვარე და მუსიკალურ ხალხზე, რომელსაც უძველესი მუსიკალური კულტურა აქვს. სინამდვილემ ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა. თბილისში ხელოვნების მუზეუმში ვნახე მრავალი ამადელეველი და ძვირფასი ნივთი, რომელიც თქვენი ხალხის დიდ წარსულზე მეტყველებს. საოცარია, რომ აქ ყველამ შესანიშნავად იცის თავისი ქვეყნის ისტორია. ხელოვნების მუზეუმში ვნახე აგრეთვე მრავალი ძვირფასი ნივთი, რომელსაც ბერძნული წარწერა აქვს. ეს ჩემთვის მეტად სასიამოვნო იყო. აქ, საქართველოში, მე ბევრი საერთო ენოვზე ჩემს ქვეყანასთან. მე ზოგი რამ ვიცოდი ძველი კოლხეთისა და საბერძნეთის ურთიერთობის შესახებ, მაგრამ ძალზე გამიკვირდა, როცა მიტხრეს კოლხეთი იგივე საქართველოაო. გარდა ამისა, მინდა კიდევ განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ მე საბჭოთა კავშირში ბევრი ახალი რამ გავიგე. მაგალითად, დღეს 8 მარტია. მე საჩუქარიც მივიღე ამ დღის აღსანიშნავად. ჩემს ქვეყანაში ვერც კი წარმოიდგენენ, რომ ქალთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ. ეს მეტად სასიამოვნოა და მოხარული ვარ, რომ სწორედ 8 მარტს მომიხბდა აქ ყოფნა.

თქვენი ქალაქი ძალიან მომწონს. მე ყველგან გამყვება მისი სილამაზე და სიყვარული. მოხიბლული ვარ ხალხით, რომელმაც ასე გულლიად მიმიღო. მე რამდენიმე ქართული სიტყვაც ვისწავლე.

გაუმარჯოს მზიურ საქართველოს!

რიტა ბუბუღიძი,
ბერძენი პიანისტი.



ფრანგი კანემატოგრაფისტები თბილისის სატელევიზიო სტუდიაში. სურათზე: რეჟისორი ვაკ ბეკერი (მარცხნიდან). მსახიობები პასკალ ოდრე, ბერნარ ბლიე, თბილისელი დიქტორი ლია ნიჭაძე, ფრანსუაზ ფაბიანი და პასკალ პეტი.

128 ალტაცებუღი ვართ 586


უჯანასკნელად მე საბჭოთა კავშირში 1954 წელს გახლდით. მას შემდეგ ბევრი რამ ახალი შევამჩნიე თქვენს ცხოვრებაში: დიდად გაზრდილა მშენებლობის ტემპები, მაღაზიებში გამოფენილია დიდი ასორტიმენტის საქონელი. ხალხი უკეთ არის ჩაცმული და კულტურულ ცხოვრებაშიც ბევრი რამ ახალია. ყველაფერი ეს თქვენი ქვეყნის ძლიერების ზრდის უდავო მომასწავებელია.

ვილაპარაკოთ სპორტზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა მოჭიდავეები და მათ შორის ქართველი მოჭიდავეები უძლიერესნი არიან მსოფლიოში. ამიტომ გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომლითაც ჩვენ მოვიწირაფოდით შეჯიბრებებზე საბჭოთა კავშირში. გულახდილად უნდა მოგახსენოთ: თუმცა მოსკოვში წავაგეთ, მაგრამ თბილისში წავგება დიდად განსხვავდება თავისი სპორტული შინაარსით: იქ ჩვენ წავაგეთ მოწინააღმდეგის მცირე უპირატესობით. აქ კი ეს უპირატესობა შეტად დიდი იყო. ქართველი მოჭიდავეები უფრო აგრესიულნი არიან. ქების ღირსია მათი სპორტული ოსტატობა.

ჩვენ გავიცანით ქალაქი თბილისი და ალტაცებუღი ვართ მისი სილამაზით. ბედნიერია ის ხალხი, რომელსაც ასეთი ლამაზი დედაქალაქი აქვს.

პიერ სტრომბეკი,

შვეციის კლასიკურ მოჭიდავეთა
ფედერაციის პრეზიდენტი.



სამშობლოსათვის საყვარელი

ასე და ამგვარად, ჩვენ საბჭოთა კავშირში ვართ, საბჭოთა კინოხელოვნების მუშაკებთან ერთად დიდი დოკუმენტური ფილმის გადასაღებად. ავტომანქანებით პარიზიდან ბერლინში, ვარშავაში, მოსკოვში და ტოკიოში ასეთია ჩვენი შემოქმედებითი მარშრუტი. საბჭოთა ქვეყანა, რომელმაც უმოკლეს ვადაში შეძლო მშვიდობისა და კაცთმოყვარეობის საგანძურში უდიდესი წვლილი შეეტანა, ჩემთვის ყოველთვის დიდ ინტერესს წარმოადგენდა. ჩემს სურათებში მე ვიკავებ პატარა ადამიანების ინტერესებს და მთელი ჩემი არსებით ვგმობ ადამიანის ღირსების დამამცირებლებს, სისხლის მსმელებსა და ყაჩაღებს. დღეს მე წილად მხვდა ბედნიერება საბჭოთა კინოხელოვნების მუშაკებთან ერთად აპარატით ხელში შემოვიპარო ეს ვეება ქვეყანა და მთელ მსოფლიოს დავანახეო თქვენი ვიოქის მთელი სიდიადე, საბჭოთა ადამიანების ცხოვრება და შემოქმედებითი შრომა. საქართველომ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, კიდევ უფრო მეტი — მან სამშობლოსათვის შემაყვარა თავი. ამ სიყვარულის გრძნობით გადავიღეთ მრავალი საინტერესო კადრი მომავალი ფილმისათვის. შესანიშნავია ქართული კინოსტუდია.

გორი და წინანდალი ჩემს მეხსიერებაში დარჩება როგორც ქართული სტუმართმოყვარეობის ბრწყინვალე მაგალითები, სადაც უნდა ვიყო, ყველგან წრფელი გულით ვაღდეგრძებლებ საქართველოს და ქართველ ხალხს საჩუქრად მიღებული ქართული ყანწით. ვიტყვი: — მრავალ 1500 წელს, მეგობრებო, თქვენი საყვარელი დედაქალაქით!

მარჩელო პალგიერო,
ფრანგი კინორეჟისორი.





შინაარსი

სიმართლის ხმა ქვეყნად ჰქუხდეს (წინასიტყვაობის მაგიერ)	3
გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტი სეკუ ტურე — გულწრფელი მადლობის გრძნობით	8
ლოიდ კოლინსი. დიდი კულტურის ქვეყანა ელდარდ ლაჩფილდი, დინლ მელიოტი. ამას არ მოველოდათ	12
ერნესტ გრიუნინგი. „თეთრი ნახშირის“ ქვეყანა	21
ფრანგი სტუმრები საქართველოში	23
ჩარლზ შოტლანდი. რუსთავი — მშვიდობის ქალაქი	25
ანდრიუ მურიე. დაუვიწყარი დღეები	28
ჭორჭ კელსი ვიცხოვროთ მშვიდობით	29
ხო ში შინი. საარაკო წარმატებები	32
ფამ გუან ხანი. 1500 წლის ქალაქი	33
ეფრაშიმ რიგოს კარო. დიდი მაგალითი ლე ტამი, სოფიო ჭეკბსი, ს. ფახრია, ელისაბედ შომონი. შთაბეჭდილებანი ქართველ ქალზე	37
ე. ბუტნერი. დიად სიძველეთა საუნჯე	41
მოისეს დე ლა პენია. საკუთარი თვალით ვნახე	43
კარლ შმიდტი. მადლობა ქართველ მეცნიერებს	44
ბოცო ბოტსიო. თქვენს მიღწევებს გავაცნობთ ჩვენს ხალხს	48
ორსტ მედიკე. ქართველი ხალხი მზნედ მიაბიჯებს კომუნისმისაკენ	
ოტო რიულე. შენება, მშვიდობა	52

პეტრო მარდონესი. აღმართოვანა ბქვენ- მა ქვეყანამ	54
კარლ ფრენკი. მეცნიერება მაღალ დონეზე აბელარდო ვილალბანდო. დიდებული მა- ტერიალური და სულიერი კულტურა	56
ბალაქუმარ მახადევა. „მწვანე ოქრო“	60
აბდულ მაჯით შასანი. ბედნიერი ბავშვები	64
ლუიზა ტილი. საბჭოთა ქალი ბედნიერია	66
ელისაბედ მუსტი. ვამბობ იმას, რა- საც გულწრფელად ვფიქრობ	67
ბრაუნი. ლამაზი ქალაქი, ულა- მაზესი ქალები	69
ვალტერ დენეკი. მხატვრობის, ხე- ლოვნების, სილამაზის ქვეყანა	71
ფრანკლინ უოტკინსი, ლამარ დო- დი. ხელოვანი ხალხი	72
აბდულ შონე. ლამარაკობენ ეგ- ვიპტელი ფეიქრები	74
ჟივოტ სტეკიჩი. გმირული წარსუ- ლის ხალხი	76
ჭეიმს ბელინგტონი. განცვიფრებული დაერჩი იოჟეფ სიგეტი, კარლ პოლინსკი. საბ- ჭოთა ხელისუფლებას საქართვე- ლოში სასწაულები მოუხდენია	78
ახმად ბადავი. ახლობელი, საყვარელი	79
მაჯი იუსუფი. გამარჯვებული სო- ციალიზმის სხივებქვეშ აყვა- ვავებული მხარე	80
ვილიამ სკილინგი, ახმად ალი ფუ- ტაი. საბჭოთა ხალხს მშვი- დობა სურს	81

მარსელ გალე. ფეხბურთის აახლოებს მსოფლიოს ხალხებს	83
ოსკარ მაროტოლი. ზრუნვა ადამიანის ჯანმრთელობისათვის	36
ირეი ტომაშევი. სასწაულთმოქმედი კურორტი	89
რიტა ბუბულიდი. გაუმარჯოს მზიურ საქართველოს!	91
პიერ სტრომბევი. აღტაცებული ვართ მარჩელო პალგიერო. სამშობლოსა- ვით საყვარელი	93
	94

0208508786A —————

11227/022 2023



ქვირფასო თანამემამულენო! თქვენი შენიშვნები, წინადადებები, სურვილები მოგვაწოდეთ შემდეგი მისამართით: თბილისი, ვოლოდარსკის ქუჩა № 3. „თანამემამულეთა საზოგადოებრივ დაბრუნებისა და მათთან კულტურული კავშირის განვითარების“ კომიტეტის სპარტველოს ფილიალი.

რედაქტორი აკ. ჩავლიშვილი

NK 344

